ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

cfvif,fsb7 ! vfbcb7 @)!@ 1102 (5792) afcb5 #) stshb

2 მაისიდან!

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+ ნტნხტჰბ

* კფჰბ




# ბურჯანაძე ივანიშვილის წინააღმდეგ

## „ქართულმა ოცნებამ“ 26 მაისი სახალხო კრებას წაართვა

გვ. 2

ბურჯანაძის შეფასებით ეს არაკორექტულია



## ბიძინა ივანიშვილი საარჩევნო კამპანიას 26 მაისს დიდი აქციით იწყებს



გვ. 4

რას აპირებს ივანიშვილი, თუკი სტადიონებს არ მიაქირავებენ?

## საინგილოში ქართული ტაძარი აშენდება

გვ. 3



## ვინ და რატომ მფარველობს ვლადიმერ სანაკოევს

გვ. 3



## იურიდიულ საკითხთა კომიტეტი საკონსტიტუციო ცვლილებებს 4 მაისისთვის განიხილავს

გვ. 7



## კუკავას პარტია ბიზნესმენების დატერორებაზე ალაპარაკდა

გვ. 4

კარგად დაგეგმილი და ცუდად შენიღბული სპეცოპერაცია კახეთში



## ლეიბორისტები გლეხებისთვის საწვავის დარიგებას ითხოვენ

გვ. 6



## მაკა ასათიანი და მისი ოჯახის წევრები 900 ათასი ლარით დაჯარიმდნენ

გვ. 6

## რუსეთმა საქართველოს შეიძლება კიდევ ერთხელ დაარტყას

გვ. 5

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

კანიბალიზმის ისტორია

!) კფჰბ

@%ფგჰბკბლფყ




ISSN 1987-9385

**2** სამოქალაქო საზოგადოება 2 მაისს აქციას და მსვლელობასაც მოაწყობს

**3** აფხაზეთში ქართველების სახლებში სირიელების ჩასახლება უნდათ

**5** როგორ ჩაერთვებიან ვეტერანები სარეზერვო სამსახურში

**7** საქართველოს ლიგის მხარდაჭერის იმედი აქვს

# „ქართულმა ოცნებამ“ 26 მაისი სახალხო კრებას წაართვა

თამარ ნინიძე

## ბურჯანაძის შეფასებით ეს არაკორექტულია

სახალხო კრებამ გუშინ სპეციალურ ბრიფინგზე გაავრცელა განცხადება, რომელშიც იუწყება, რომ 21-დან 26 მაისის ჩათვლით დაგეგმილი მასშტაბური ღონისძიებები გაუქმდა.

სახალხო კრების განცხადება მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა, ლუკა კურტანიძემ გააცნო პრესას: „სახალხო კრება“, რომელიც შეიქმნა ჩვენი სამშობლოს ეროვნული ფასეულობების და დემოკრატიის გადასარჩენად, დაარსების დღიდანვე გახდა დარტყმის მთავარი ობიექტი. მთელი ამ პერიოდის მანძილზე ჩვენზე განხორციელებული უპრეცედენტო ზეწოლის, რეპრესიების, ტერორისა და ცილისწამების მიუხედავად, 2011 წლის 21 მაისს 30 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა თავისუფლების მოედანზე თავისი კონსტიტუციური უფლებების დაბრუნების მოთხოვნით, იმავდროულად უპრეცედენტო მანიფესტაცია გაიმართა ბათუმში, რომელშიც ექვსი ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში პრაქტიკულად გამეფებული იყო ნიჰილიზმი და უიმედობა, 2011 წლის 21 მაისს „სახალხო კრებამ“ მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ ქართველი ხალხი არ შეეგუება ქვეყანაში არსებულ რეჟიმს, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ყველა ეროვნული და დემოკრატიული ფასეულობა, დაკარგა ქვეყნის ტერიტორიები, გააღატაკა მოსახლეობა, ღირსება შეულახა საკუთარ მოქალაქეებს და დაამყარა ქვეყანაში ნეობოლშევიკური რეჟიმი.

ხელისუფლებამ საკუთარი ხალხის კანონიერ და მშვიდობიან პროტესტს, 2011 წლის 26 მაისს სამაგალითო სადამსჯელო სპეცოპერაციით უპასუხა, რომლის დროსაც ოფიციალური მონაცემებით გარდაიცვალა ოთხი, სასტიკად იქნა ნაცემი 2500-ზე მეტი მომიტინგე, ასობით ადამიანი მძიმედ დაშავდა, დაკავებულ იქნა 1500-ზე მეტი მოქალაქე, ხოლო 300-მდე ადამიანი 26 მაისის შემდეგ სრულიად უკანონოდ იხდიდა ადმინისტრაციულ სასჯელს, ორმოცდა ორი ადამიანის წინააღმდეგ აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და ეს ადამიანები დღემდე სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკური პატიმრები არიან.

26 მაისის დილიდან მოყოლებული, ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მიეჩქმალა 26 მაისის ტრაგედია, გაეუფასურებინა მისი მასშტაბი და მნიშვნელობა, მოქალაქეებს არ გაეგოთ სიმართლე. სამწუხაროდ „სახალხო კრების“ წინაღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლება მარტო არ იყო. წელს „სახალხო კრებას“ დაგეგმილი ჰქონდა ხალხმრავალი ღონისძიებები ერთი წლის წინ განვითარებული მოვლენების აღსანიშნავად და ამის შესახებ აღმასრულებელი საბჭოს მიერ ოფიციალურად არაერთხელ იქნა გაცხადებული, მას შემდეგ, რაც ჩვენთვის მოულოდნელად „ქართულმა ოცნებამ“ დააანონსა 26-27 მაისს მომხრეთა შეკრება სტადიონზე, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გავაუქმოთ 26 მაისს, 14 საათზე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილი ღონისძიება. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებულია კრების პრინციპით – არასოდეს გახდეს ოპოზიციაში დაპირისპირების ინიციატორი.

„სახალხო კრებას“ არასოდეს არც ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პროცესისთვის ხელი არ შეუშლია. ახლაც იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიციაში დაქსაქსულობა მხოლოდ ხელისუფლების ინტერესებში შედის, ვთვლით, რომ ოპოზიციური ძალების მიერ 26 მაისს, იმ დღეს, რომელიც ქართველი ხალხის და ოპოზიციური ძალების სოლიდარობის დღედ ახლა მაინც უნდა ქცეულიყო, ნებისმიერი მასობრივი ღონისძიების პარალელურ რეჟიმში გამართვა საზოგადოებაში დაბნეულობასა და უხერხულობას გამოიწვევს და არსებული რეჟიმის წისქვილზე დაასხამს წყალს. აქედან გამომდინარე „სახალხო კრების“ აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2012 წლის 21 მაისს შეზღუდულ ფორმატში აღნიშნავს შეუპოვარი ბრძოლის ერთი წლის თავს, ხოლო 2012 წლის 26 მაისს დილით გადაიხდის პარაკლისს დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად.“



ამგვარად, „სახალხო კრება“ დელიკატურად განზე გადგა და ელოდება, „ქართული ოცნების“ მიერ დაანონსებულ აქციას სტადიონზე, თუმცა ურიგო არ იქნებოდა, კოლეგა ოპოზიციონერებს „ქართული ოცნებიდან“ მიეწვიათ მაინც სახალხო კრების“ წევრები აღნიშნულ ღონისძიებაზე, თუ ბოდიშს მაინც არ იხდიდნენ ამ გაუგებარი გამოხტომის გამო. სხვა თუ არაფერი, სწორედ სახალხო კრების აქტივისტები და დემმოძრაობის მხარდამჭერები დაზარალდნენ შარშანდელი აქციების დროს.

კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრის, სოსო ჯაჭველიანის თქმით, სახალხო კრება სწორედ იმით არის კომფორტული, რომ მასში არის აზრთა სხვადასხვაობა, სახალხო კრება ამ განცხადების შინაარსთან მიმართებაში ერთსულოვანია.

„ახალ თაობასთან“ ექსკლუზიურ კომენტარში სახალხო კრების ლიდერმა ნონა გაფრინდაშვილმა განაცხადა, რომ პარალელურ რეჟიმში ორი ღონისძიების გამართვა ხალხში გაურკვევლობას და დაბნეულობას გამოიწვევდა. „26 მაისი თუ ვინმესთვის არის მტკივნეული, არის ჩვენთვის, ჩვენ ვიყავით უშუალო მონაწილენი და არაფერი გვექნებოდა საწინააღმდეგო, ამ იდეის ირგვლივ დიდი გაერთიანება რომ მომხდარიყო. ჩვენ ყველას მიწვევას ვაპირებდით, ვინც მოვიდოდა, როცა სტადიონზე იმხელა აქცია ტარდება, გვესმის, რომ პარალელურ რეჟიმში ყველაფერი დაიკარგება. შემოთავაზებაზე წინადადება მათგან რომ მიგველო, მაშინ გავერთიანდებოდით, ყველას აქვს უფლება, აქცია გამართოს ამ დღეს, მაგრამ 26 მაისი ისტორიაში შევა როგორც სისხლიანი დღე, ის, რაც იმ დღედ მოხდა, ამის გამო, ძალიან დიდი თარიღია ქართველებისთვის. სულ არ არის აუცილებელი კოლაციიის წევრობა, ამ დღის გამო მაინც შეიძლებოდა გაერთიანება ერთი დღით და ერთობლივი აქციის გამართვა. მიგვაჩნია, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა, ამიტომ დღევანდელი გადაწყვეტილება კიდევ ერთი ნაბიჯია იმისათვის, რომ უარყოფითი კონტექსტი არ დაედოს ჩვენს აქციას, ამიტომ ჩვენ გვაქვს თარიღები, რომელიც მართლაც იმსახურებს აღნიშვნას, არ შევუშალეთ ამ პროცესებს ხელი“ – განაცხადა ნონა გაფრინდაშვილმა.

ნინო ბურჯანაძეს კი მიაჩნია, რომ ქართული ოცნების ეს გადაწყვეტილება ადამიანურად და პოლიტიკურად არაკორექტულია.

დემოკრატიული მოძრაობის აღმასრულებელი კომიტეტის წევრის, ვახტანგ ყოლბაიას განმარტებით შეზღუდული ფორმატი იმას ნიშნავს, რომ არ გამოჩნდება პარალელურ რეჟიმში ჩატარებული ორი ღონისძიება, მაგრამ ამავე დროს დემმოძრაობა და სახალხო კრება პატივს მიაგებს დაღუპული ადამიანების ხსოვნას.

## საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება დღეს საპროტესტო აქციას გამართავს




დასაქმებულთა საერთოშორისო დღეთან დაკავშირებით, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება საპროტესტო აქციას გამართავს.

როგორც „ნიუსპრესს“ პროფკავშირებიდან აცნობეს, საპროტესტო მსვლელობა დღეს 16.00 საათზე ვარდების მოედნიდან პარლამენტის შენობისკენ გაიმართება. 17.00 საათზე კი, მიტინგი საკანონმდებლო ორგანოსთან შედგება.

პროფკავშირები აქციაზე სამუშაოდან უსამართლოდ გათავისუფლებებს, მზარდ უმუშევრობას, დამსაქმებელთა თვითნებობას, გაზრდილ კომუნალურ და საბიუჯეტო გადასახადებს, კატასტროფულად და ხელოვნურად მზარდ ფასებს და სხვა მსგავს საკითხებს გააპროტესტებენ.

აქციის მონაწილეები საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიმართ სპეციალურ მიმართვას შეიმუშავებენ, სადაც ქვეყანაში არსებულ სოციალურ მდგომარეობას გაესმევა ხაზი. ისინი აქციაზე ხელისუფლებას მოუწოდებენ ვითარების დროულად გამოსწორების საკითხს სერიოზულად მოეკიდნონ.

საპროტესტო აქციის მონაწილეები საქართველოს პარლამენტის წევრებს პროფკავშირების მიერ 2007-2012 წლებში შემუშავებულ და დღემდე ამომრჩეველთა ნების საწინააღმდეგოდ იგნორირებულ სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივას წარუდგენენ.

**ნიუსპრესი**

## სამოქალაქო საზოგადოება 2 მაისს აქციას და მსვლელობასაც მოაწყობს

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები 2 მაისს კორტებთან დაგეგმილ აქციამდე ქალაქში მსვლელობას მოაწყობენ. როგორც „ნიუსპრესს“ არასამთავრობო კოალიცია „სამოქალაქო ერთობის“ ახალგაზრდობის ხელმძღვანელმა მიხეილ მუმლაძემ განუცხადა, 2 მაისს კორტებთან აქცია 14:00 საათზე დაიწყება, მსვლელობა კი, 12:00 საათზე მოეწყობა.

მისი თქმით, ისინი მსვლელობის დროს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებს გაივლიან, ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გააპროტესტებენ და შემდეგ კორტებთან მიმდინარე აქციას შეუერთდებიან.



„სამოქალაქო საზოგადოების სახელით კიდევ ერთხელ დავაფიქსირებთ, რომ ეს ისეთი სისხლიანი სპეცოპერაცია იყო, რომელსაც ხანდაზმულობა არ აქვს. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, რა ხელისუფლებაც არ უნდა მოვიდეს ამ ფაქტების გამოძიებას და ყველა იმ პირის დასჯას მოვითხოვთ, ვინც ამ სისხლიან სპეცოპერაციაში მონაწილეობდა“ – განაცხადა მიხეილ მუმლაძემ.

ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი 2006 წლის 2 მაისს თბილისში, ე.წ კორტების ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლეს. შსს-ს ინფორმაციით, ისინი ყაჩაღობის მზადებაში იყვნენ ექვმიტანილები.

**ნიუსპრესი**

## 51 სამხედროს სახელმწიფო ჯილდო გადაეცა

შეირაღებული ძალების დღესთან დაკავშირებით, გუშინ 51 სამხედროს სახელმწიფო ჯილდო, 800-ს კი, უწყებრივი მედალი გადაეცა.

როგორც „ნიუსპრესს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, შეიარაღებული ძალების დანაყოფებში პროფესიულ დღესთან დაკავშირებით ღია კარის დღეები გაიმართა.

ქართველმა სამხედროებმა დღეს საკუთარ ოჯახის წევრებს უმანსპინძლეს და მათი სამუშაო გარემო გააცნეს.

30 აპრილი საქართველოს შეიარაღებული ძალების დღეა.

პროფესიულ დღესასწაულს ქართველი სამხედრო მოსამსახურეები უკვე 21-ედ აღნიშნავენ.

**ნიუსპრესი**

## ალავერდის ტაძარი შველას ითხოვს

ალავერდის ტაძარი შველას ითხოვს, – ამის შესახებ მონასტრის მსახურები აცხადებენ.

მათი ინფორმაციით, ნიადაგის ზედაპირული წყლები გრუნტში გროვდება, რის შედეგადაც ტაძარი და მთლიანად მონასტრის ტერიტორია მეტრნახევარ სიღრმეზე გრუნტის წყალზე იმყოფება. საფრთხე ემუქრება უძველეს ფრესკებსა და ტაძრის საძირკვლის მდგრადობასაც. გრუნტის წყლების ამოქაჩვა მონასტრის ტერიტორიაზე არსებული ოთხი ჭიდან ხდება.



პრობლემა გასულ წელს მდინარე ზემო ხოდაშენის ხევის ადიდებამ და წყლის მოვარდნამ გამოიწვია. მდინარის კალაპოტი დაახლოებით 4-5 კილომეტრზე გაწმენდას საჭიროებს, რათა გაზაფხულობით წყალდიდობების დროს მდინარის წყალი ალაზანს შეუერთდეს და მიმართულება შეიცვალოს, აღარ დაიტბოროს სოფლის სავარგულები და საძოვრები. მდინარე ზემო ხოდაშენის ერთი შენაკადი კი მონასტრის გვერდით მიედინება. წლების განმავლობაში მოტანილი ნატანის შედეგად ხეობა წყალს აღარატარებდა და მონასტერი და მიმდებარე სოფლები დატბორა.

მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების თავიდან აცილების მიზნით და სამომავლო მოქმედების გეგმის განსასაზღვრად ალავერდის მონასტერში დაინტერესებული მხარეების, სამთავრობო სტრუქტურებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით სემინარი მიმდინარეობს. სემინარში მიტროპოლიტი, ამბა ალავერდელი დავით მახარაძეც მონაწილეობს.

ღონისძიება კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის ორგანიზებით ტარდება. მასში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

სემინარის მონაწილეებმა შავკაბასა და ზემო ხოდაშენის ხევის კალაპოტი მოინახულეს, საიდანაც ეს ეკოლოგიური პრობლემა იქმნება. გასულ წელს ალავერდის მონასტრის მახლობლად ხევში ალაგ-ალაგ დამბები გაკეთდა და მდინარის კალაპოტი გასუფთავდა და გაღრმავდა. თუმცა, ეს საკმარისი არ არის. ამისათვის თანხები ჰოლანდიის პრიც კლაუსის ფონდმა გამოყო, დაახლოებით 30 000 ევრო.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ვინ და რატომ მფარველობს ვლადიმერ სანაკოევს

თეა მარხვაიძე

**საქართველოს ხელისუფლების საეჭვო და უცნაურ გადაწყვეტილებებს უკვე მივეჩვიეთ. მათგან წესით აღარაფერი უნდა გვიკვირდეს. ამის მიუხედავად, ხელისუფლება მაინც ახერხებს ჩვენს გაკვირვებას. ამჯერად მათი საქმენი საკვირველნი ვლადიმერ სანაკოევს ეხება. იმ კაცს, რომელმაც ცოტა ხნის წინ საქვეყნოდ აღიარა ეფესბეს აგენტი ვყავგიო.**



ამ უწყების აგენტებს ჩვენი ხელისუფლება როგორ ექცევა, ყველამ ვიცით. საქართველოში ლამისაა რუსი კლასიკოსების ნაწარმოებების კითხვაც კი აიკრძალოს. ნუგზარ წიკლაურმა სულაც პუშკინის ძეგლის გატანა მოითხოვა. სხვა მაგალითების მოყვანით თავს არ შეგაწყენთ. ახლა კი უცბად ვანო მერაბიშვილი გამოვიდა და სანაკოევს ლამის ფრთიანი ანგელოზი ეძახა. ასეთი თავგამოდებით მერაბიშვილს მშობლიური პოლიციაც კი არ უქია.

მერაბიშვილს ტოლი არც მეორე სანაკოევმა დაუდო. საუბარია დიმა სანაკოევზე, რომლის ახლანდელი თანამდებობის ზუსტი დასახელება არავინ იცის. ერთადერთი ვიცით, რომ ჟენევის მოლაპარაკებებზე დადის. ამის გარდა, ის საფეხბურთო კლუბ ცხინვალის „სპარტაკის" პრეზიდენტია. რატომ და როგორ მოხვდა ეს კაცი ჩვენი ხელისუფლების რიგებში, ეს ცალკე საუბრის თემაა. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ ეს კაცი საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა 1990–იან წლებში როგორც ცხინვალში, ასევე აფხაზეთში. ამას არც თვითონ არ უარყოფს.

მას სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავა. იყო პრემიერი და იყო თავდაცვის მინისტრი. სწორედ მისი წყალობით შეძლო კოკოითიმ 2000 წელს გაპრეზიდენტება.

იმ პერიოდში დ. სანაკოევს პრემიერის პოსტი ეკავა. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მან თავისი პრეზიდენტი ლუდვიგ ჩიბიროვი დაალალატა. კოკოითის, რომელსაც ოსი კრიმინალები უჭერდნენ მხარს, სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა გაუხერხა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ვერ შეძლებდა.

სხვათა შორის, სანაკოევი ამ კრიმინალურმა კლანმა (თედეევების კლანზეა საუბარი) დააკავშირა ჩვენს ხელისუფლებასთან.

2006 წელს დროებითი ადმინისტრაციის შექმნა როგორც დამთავრდა, ყველამ იცით. 2008 წლის აგვისტო ალბათ არავის დაგავიწყდებათ. სამაჩაბლოსგან ახლა მხოლოდ დიმა სანაკოევი დარჩა. შესაძლოა ხელისუფლება ამიტომაც მფარველობს მას ასე.

პორტალ „ეხო კავკაზასთან" საუბარში ვოვამ საინტერესო ინფორმაცია გააჟღერა. მისი თქმით, დიმიტრიმ მას ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობა შესთავაზა. ვოვამ ამ მოლაპარაკებებში ექსპერტის სტატუსით უნდა მიიღოს თურმე მონაწილეობა.

ჯერ ისე რა იყო ჟენევის მოლაპარაკებები და წარმოიდგინეთ, ვოვას ჩართვის შემდეგ რა იქნება. მაგრამ მთლად ისეც არ ყოფილა საქმე, ჩვენ რომ გვგონია. თურმე ნუ იტყვით და ვოვაზე ყოფილა დამოკიდებული ის, ჩაითვლება თუ არა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულ ტერიტორიებად. ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

ახლა კი ვ. სანაკოევის საუბარს დავუბრუნდეთ. „ეხო კავკაზასთან" საუბარში ის აცხადებს, რომ დ. სანაკოევის და ვანო მერაბიშვილის განცხადებები ერთმანეთს დაემთხვა.

სამთავრობო საათზე მისულმა მერაბიშვილმა განაცხადა, რომ თურმე ვოვას ბევრი რამ აქვს გაკეთებული საქართველოსთვის. თქვა, რომ მას კიდევ ერთხელ მისცემს საქართველოს სამსახურში ჩადგომის საშუალებას.

ახლა რაც შეეხება ვოვას ახალ მისიას, მისი თქმით, დიმიტრი სანაკოევმა ჟენევის მოლაპარაკებებზე აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ტერმინ „ოკუპირებული ტერიტორიების" დასაბუთება სთხოვა.

ვლადიმერ სანაკოევის თქმით, ის მზადაა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები" დაასაბუთოს. კერძოდ, მისი განცხადებით, რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა საქართველოს სსრ-ს ფარგლებში და 18 წლის განმავლობაში, არ აღიარებდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა რუსეთის კონსტიტუციასა და საერთაშორისო შეთანხმებებს.

– 2008 წელს რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კი არ დაარღვია, არამედ თავისივე კონსტიტუციის დარღვევით, სცნო ხელისუფლების იმ ორგანოების სამართალსუბიექტობა, რომლებიც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არიან განლაგებულნი. სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიაა და, შესაბამისად, რუსეთის ჯარები იქ, როგორც საოკუპაციო ძალები, ისე იმყოფებიან, – აცხადებს სანაკოევი.

მან თურმე ამ საკითხზე მომზადებული მასალა ვლადიმერ პუტინს გაუგზავნა, მაგრამ პასუხი ლუბიანკიდან მიიღო. რომლის არსი ასეთია – „კარგად იყავი და შენი გზა ნახე".

მისივე განმარტებით, იგი საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს, მაგრამ მზადაა, დამოუკიდებელი ექსპერტის სტატუსით ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეები დაარწმუნოს, რომ სამხრეთ ოსეთის მიმართ ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორია" სავსებით სწორი განსაზღვრებაა.

რუსეთი, მოგეხსენებათ, რომ ამ ტერმინს არ ეთანხმება. თუმცა ვოვა სანაკოევის განცხადების შემდეგ ეგება დათანხმდეს. ისე კი, ამ ამბავზე ერთი ძველი ანეკდოტი მახსენდება, რომლის მთავარი პერსონაჟი ოსია.

მოკლედ, ერთი ოსი რაღაც დანაშაულისთვის დაიჭირეს. სასამართლო შედგა. მოსამართლემ განაჩენი გამოაცხადა და მსჯავრდებულს უთხრა: „თქვენ მოგესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 3 წლით".

ოსმა შეხედა მოსამართლეს და არხეინად მიაძახა: „რახან შენ იტყვიო."

რუსეთსაც, ალბათ, ასეთივე პოზიცია ექნება სანაკოევის „ოკუპაციაზე". ისე კი, ვინ იცის, ყველაფერი ხდება.

სანამ ეს ყველაფერი ან რამე მომხდარა, შეგახსენებთ, როგორ დაგვალალატა სანაკოევმა. მან საქართველო 2010 წლის დამლევს დატოვა. 2011 წლის იანვრის დასაწყისში კი საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, საიდანაც შემოგვითვალა: ვერ აგისრულეთ, რასაც დაგპირდით, რადგანაც ეფესბეს აგენტი ვარო".

სანაკოევმა რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა საჯაროდ აღიარა. ამის თაობაზე სანაკოევმა ვლადიკავკაზში, ადვოკატ ჯაბილ გაბარჩიევის ოფისში განაცხადა. აღსარება ათამდე ადამიანის თანდასწრებით 3 საათს გაგრძელდა.

„ჩემი საქმიანობა საქართველოში" – ასე ერქვა „ნაშრომს", რომლის წაკითხვითაც დაიწყო სანაკოევის აღიარებითი ჩვენება. თავად მანიფესტი ჯაშუშური საქმიანობის დასაწყისის აღწერით დაიწყო.

– 1989 წელს სერგეი დირდინი გავიცანი. იგი სოჭის უშიშროების სამსახურში მუშაობდა. მან თანამშრომლობა შემომთავაზა. თუკი შევამჩნევდი რაიმე ფაქტს, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებას დაემუქრებოდა, მისთვის უნდა მეცნობებინა. შევთანხმდით, რომ ჩემი ფსევდონიმი „ირონი" (ოსეთი) იქნებოდა. მოგვიანებით გავიცანი უშიშროების სხვა თანამშრომლებიც. 1998 წელს გავიცანი რომანი (მოდი, ასე ვუწოდებ მას), რომელთანაც დავმეგობრდი. ხშირად ვსაუბრობდით ოსეთზე, რადგან ოსი ვარ და იქ უამრავი ნათესავი მყავს, – წერია სანაკოევის ნაშრომში.

აღიარების თანახმად, 2004 წლის 10 ივლისს სანაკოევმა ვანო მერაბიშვილი და მისი მოადგილე ამირან მესხელი გაიცნო.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ცხინვალში დაბრუნდა და რომანს ამ შეხვედრის დეტალები და საუბრის ანალიზი გააცნო.

– დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლება – მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ამირან მესხელი, ირაკლი ოქრუაშვილი, გივი თარგამაძე, გიორგი ბარამიძე და სხვა მაღალჩინოსნები რუსეთის და მისი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტების წამქეზებლები და თანამონაწილეები არიან. მზად ვარ, ამის დასამტკიცებლად, საჯაროდ მივცე ჩვენება, – წერს სანაკოევი.

მისი აღიარებითი ჩვენება თითქმის ყველა ოსურმა პორტალმა გამოაქვეყნა. ეს თემა აქტიური იყო საქართველოშიც. ხელისუფლებამ ეს თემა დააიგნორა. ახლა კი რატომღაც ვანო მერაბიშვილმა ვოვა სანაკოევის პერსონა „დაალაიქა".

საინტერესოა, ვინ და რატომ ლობირებს ასე ძალიან ვოვა სანაკოევს? ხელისუფლებას ალბათ რაღაც მიზეზი აქვს. ურიგო არ იქნება თუ ხელისუფლება ამ მიზეზებს განმარტავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდება.

თუ ვიღაცისთვის ჩრდილოეთისკენ გახედვა ღალატი და უპატიებელი ცოდვაა, ვოვა სანაკოევისთვის რატომ არის რუსეთის აგენტობა საქართველოსთვის სასარგებლო და საპატიებელი.

ექსპერტების შეფასებით, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის მიერ ვლადიმერ სანაკოევისთვის გაკეთებული შეთავაზება ჟენევის მოლაპარაკებაში ჩართვის შეთავაზება ფარსი, ბლეფი და ახალი წარმატების კამპანიაა, რომელიც მერაბიშვილმა საპარლამენტო საათის დროს წამოიწყო.

როგორც კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი „პრესაგე.ტვ"–თან საუბარში აცხადებს, ამ კამპანიის წამოწყებით, მერაბიშვილი თავიანთი გაფუჭებული საქმის ვითომ გამოსწორების ილუზიას ქმნის.

– სასაცილოა ეს ყველაფერი. ამას არავითარი საერთო არ აქვს ცხინვალის პრობლემების მოგვარებასთან. ჟენევის მოლაპარაკებას ვლადიმერ სანაკოევი ისე უშველის, როგორც მკვდარს ოყნა. ეს იგივეა, მკვდარს წნევა ან სიცხე გაუზომო. პროცესი რეალურად არ მიმდინარეობს და რა უნდა გაარკვიოს?! ეს არის ბლეფი, თვალში ნაცრის შეყრა და პროპაგანდის ნაწილი იქნება საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც იოლად ტყუვდება, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ექსპერტის აზრით, ვლადიმერ სანაკოევი „ეფესბე"-მ როგორც ერთჯერადი ნივთი, ისე გამოიყენა და შემდეგ გაუშვა. უსახსროდ დარჩენილს კი ახლა საქართველოს შსს იფარებს.

– სანაკოევს აღადგენინეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, დააძაბვინეს ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა, ნოყიერი ნიადაგი მოამზადებინეს იმისათვის, რომ ომი გარდაუვალი გამხდარიყო. ანუ მან ამოწურა თავისი თავი და როცა უკვე ყველაფერი გააკეთებინეს, გამოაგდეს იქიდან, როგორც ერთჯერადი მოხმარების ნივთი. დარჩა უფულოდ, უსახსროდ და ალბათ საქართველოს შსს ამას იყენებს თავისი შელახული რეპუტაციის აღსადგენად. რაც უსუსური, ზერელე და ძალიან სასაცილოა, – აცხადებს ზაქარეიშვილი.

ზაქარეიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ დიმიტრი სანაკოევის მიერ ვლადიმერ სანაკოევისთვის ჟენევის მოლაპარაკებებში ექსპერტობის შეთავაზება შემთხვევითი არ იყო. მისი განმარტებით, მერაბიშვილი საქართველოში მისი დაბრუნების შესახებ განცხადებას ვერ გააკეთებდა, საქმის თავის სასარგებლოდ შემდგომი წარმართვის გარანტია რომ არ ჰქონოდა. ექსპერტის აზრით, „მერაბიშვილმა სანაკოევთან პარლამენტში მისვლამდე იმუშავა".

– ბუნებრივია, მერაბიშვილმა მანამდე იმუშავა სანაკოევთან, ითანამშრომლა, იპოვა და ალბათ დიდი თანხაც გადაუხადა მას. მხოლოდ ამის შემდეგ მოახდინა მერაბიშვილმა აღნიშნულის განცხადება პარლამენტის დარბაზიდან. შეიძლება 2 კვირით ადრე რომ უნდა მოსულიყო სამთავრობო საათზე და არ მოვიდა, მაშინ მუშაობდა ვლადიმერ სანაკოევთან, რათა რაღაც დადებითი მაინც მოეტანა პარლამენტის დარბაზში და როგორც კი გაანაღდა სანაკოევის ვითომდა უკან დაბრუნება, მერე თამამად მოვიდა პარლამენტში, – აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

# აფხაზეთში ქართველების სახლებში სირიელების ჩასახლება უნდათ

**ჩვენი საზოგადოება კარგად არის ინფორმირებული, რომ აფხაზეთში სირიელების ჩამოსახლებას აპირებენ. ეს თემა აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც სირიაში სამოქალაქო ომი დაიწყო.**

თეა მარხვაიძე

აფხაზური მედიის მტკიცებით, სირიაში დღეს აფხაზთა შთამომავლები სახლობენ. რომლებიც აფხაზეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით ისტორიულ სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ.

როგორც ამბობენ, რუსეთი ამას სასტიკად ეწინააღმდეგება. აფხაზები კი უკან არ იხევენ და სირიელებს კიდევ ერთხელ ეპატიჟებიან. აფხაზური მედიის ცნობით, მათთვის საცხოვრებელიც გამოინახება. ალბათ არ გაგიკვირდებათ იმის გაგება, რომ სირიელებს აფხაზეთიდან გამოდევნილი ქართველების სახლებში ჩაასახლებენ.

„ექსპერტთა კლუბის" ცნობით, ოკუპირებულ აფხაზეთში ერთი წლის განმავლობაში ელოდებიან 90 სირიელი დევნილის – მოჰაჯირთა შთამომავლების ჩამოსვლას, რომლებმაც 19 -ე საუკუნეში დატოვეს კავკასია რუსეთის იმპერიის მიერ მათი მიწების კოლინიზაციის გამო. სოხუმში რეპატრიანტ-აფხაზებზე საუბრობენ, თუმცა ჩერქეზული ორგანიზაციების მონაცემებით, სირიაში აფხაზური დიასპორა არ არსებობს, და ადგილობრივი მოჰაჯირების შთამომავლები ჩერქეზები არიან.

აფხაზური საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონალური განყოფილების ხელმძღვანელმა ინარ გიცბამ განაცხადა, რომ სირიაში რუსეთის რუსეთის ფედერაციის საელჩოს საკონსულო სამსახურთან ერთად შექმნილია ცხელი ხაზი დაბრუნების მსურველთა მიერ რუსეთის სატრანზიტო ვიზების მიღების წესებთან დაკავშირებით".

– ჩამოსვლის შემდეგ ოთხი თვის განმავლობაში რეპატრიანტები სასტუმროში იცხოვრებენ, შემდეგ მათ საცხოვრებელს გულრიფშის რაიონში შესთავაზებენ. გათვალისწინებულია მათთვის აფახაზური და რუსული ენების სწავლება, რათა ბავშვებმა შეძლონ სკოლაში სიარული, ხოლო უფროსებმა– სამუშაოს მოძებნა, – აცხადებს გიცბა.

სირიიდან წამოსულებს, რომ ქართველების სახლებში ჩაასახლებენ ამაში „ექსპერტთა კლუბს" ეჭვი არ ეპარება.

– რამდენადაც აფხაზ სეპარატისტებს ბიუჯეტში არ გააჩნიათ სათანადო სახსრები არა თუ მათი ბინათმშენებლობისათვის, არამედ თვით დედაქალაქ სოხუმში გზების მოწესრიგებისთვისაც კი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სირიიდან გადმოსახლებულებს ისინიაფხაზური რეჟიმის განკარგულებაში არსებულ ერთადერთ საცხოვრებელ ფონდს – გაძევებული ქართველების სახლებს შესთავაზებენ, – აცხადებენ ექსპერტები.

ეს კი, მათი თქმით, რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონში ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანური სამართლის უხეში დარღვევის მორიგი ნაბიჯი იქნება.

# საინგილოში ქართული ტაძარი აშენდება

თეა მარხვაიძე

საინგილოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები მძიმე დღეში არიან. ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლებაც საქმის კურსშია. გასაგები თუ გაუგებარი მიზეზების გამო, ჩვენი ხელისუფლება ამაზე დუმს. ხელისუფლება დუმილს არც მაშინ არღვევს, როცა იქ ქართული წიგნების შეტანას კრძალავენ. არც მაშინ იღებენ ხმას, როცა ინგილოებს ეკლესიების კარს უჭედავენ. შარშან ქართველ მღვდელს საფლავების კურთხევის უფლებაც კი არ მისცეს. ამასთან დაკავშირებით პროტესტი საპატრიარქომაც გამოთქვა. რეაქცია მაინც არ ყოფილა.

ბოლო პერიოდში საინგილოდან სულ უარყოფითი ინფორმაციები მოდიოდა. ახლახანს კი ძალიან იმედიანი ინფორმაცია გავრცელდა.

ცნობილი გახდა, რომ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია საინგილოში ქრისტიანული ტაძრის მშენებლობას გეგმავს. ინფორმაციას დედოფლისწყაროში გამომავალი გაზეთი „შირაქი" ეპარქიის ეპისკოპოს მეუფე მელქისედეკ ხაჩიძეზე დაყრდნობით ავრცელებს.

გაზეთ შირაქის ცნობით, უახლოეს მომავალში, ჰერეთის უკიდურეს აღმოსავლეთში, სოფელ ქოთოქლოში ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის მშენებლობა იგეგმება.

– ამჟამად ისტორიულ ჰერეთში ორი მოქმედი ტაძარია – კახის წმ. გიორგისა და წმ. ნინოს სახელობის. 1811 წელს რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. საქართველოში სულ ხუთი მღვდელმთავარი დარჩა და, ბუნებრივია, საინგილოში წირვას ვერავინ აღასრულებდა. ორი საუკუნე გავიდა, რაც ჰერეთში სააღდგომო წირვა არ ჩატარებულა. სააღდგომო ლიტურგიის ჩატარება წელს პირველად შევძელით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, აქ მუსლიმური სამყაროა, მთელ ღამეს ისმოდა ქრისტიანული ზარების რეკვა და მიმდინარეობდა ლიტანიობა. ვფიქრობთ, მესამე მოქმედი ეკლესია დადებით როლს ითამაშებს და ხელს შეუწყობს საზღვრის იქით დარჩენილ ჩვენს თანამემამულეებს, შეინარჩუნონ და განამტკიცონ საუკუნეების მანძილზე შემონახული სარწმუნოება და ქართული ტრადიციები, – აღნიშნავს მეუფე მელქისედეკი.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევით დედოფლისწყარო ბოდბის ეპარქიას გამოეყო 2009 წლის აგვისტოში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია შეიქმნა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს საქმე ბოლომდე მივა და მას ხელი არ შეეშლება. ეკლესიებთან დაკავშირებით საინგილოში არაერთხელ შეიქმნა პრობლემები.

2007 წელს საინგილოში ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის კარები აჭედეს. შესაბამისად ქართველებს ეკლესიაში შესვლის უფლება აღარ ჰქონდათ.

ამის გამო ხელისუფლებას პროტესტიც კი არ გამოუხატავს. თავი მხოლოდ ოპოზიციამ გაინერვიულა. პროტესტი საპატრიარქომაც გამოთქვა. ამის შემდეგ ეს პრობლემა ასე თუ ისე მოგვარდა. თუმცა არა საბოლოოდ. გასულ წელს ქართველ სასულიერო პირებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ. იმედია, ასეთი რამე აღარ განმეორდება. და თუ განმეორდა ხელისუფლება ამოიღებს ხმას. სხვა თუ არაფერი დიასპორების სამინისტროც გვაქვს და საპარლამენტო კომიტეტიც.

ეს უწყებები კი სხვა საქმით არიან დაკავებული. პაპუნა დავითაია ბურებს დასდევს, ხოლო ნუგზარ წიკლაური ბიძინა ივანიშვილის განცხადებების კომენტირებას ვეღარ აუდის.

# ბიძინა ივანიშვილი საარჩევნო კამპანიას 26 მაისს დიდი აქციით იწყებს

## რას აპირებს ივანიშვილი, თუკი სტადიონებს არ მიაქირავებენ?

შალვა ჯოხაძე

როგორც კი „ქართულმა ოცნებამ“ 26-27 მაისს აქციის ჩატარება დააანონსა, მაშინვე გაჩნდა კრიტიკული კომენტარები ბიძინა ივანიშვილის ოპონენტებისაგან, აკი აქციებში მონაწილეობას არ აპირებსო? თუმცა, მისი პრესსპიკერის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილს არასოდეს უთქვამს, რომ წინასაარჩევნო კამპანიას არ ჩაატარებდა. ეს დაანონსებული აქცია კი ის არაა, რაც ბევრმა იფიქრა – სააკაშვილისა თუ მთავრობის გადადგომის მოთხოვნები, ულტიმატუმების მიცემა და ა.შ. ეს იქნება დიდი შეკრება, საარჩევნო კამპანიის დასაწყისი, არ წარმოითქმება მოთხოვნები, მხოლოდ ხალხს მიმართავენ, რომ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს ხელისუფლება.



მაია ფანჯიკიძე

**მაია ფანჯიკიძე:**

– ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ 26-27 მაისს „ქართული ოცნება“ მასშტაბური აქციის გამართვას გეგმავს, გაუგებრობა გამოიწვია. გაუგებრობის მიზეზად ორი თარიღი და ორი ადგილი იქცა, სადაც აქცია უნდა ჩატარდეს. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, თუ რისი საშუალება გვექნება, სად მოგვეცემა აქციის ჩატარების უფლება.

ჩვენთვის პრიორიტეტულია ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონი, რომელიც 70 ათას მაყურებელს იტევს. ამიტომ, რადგან არ ვიცით, შესაძლებელი იქნება თუ არა ამ სტადიონის მიღება 26–ში, ჩვენი შეთავაზებაა, რომ 27 მაისიც იყოს განხილული, როგორც სტადიონის დაქირავების მეორე საშუალება.

თუკი არც ერთ დღეს არ მოხერხდება ამ სტადიონის დაქირავება, მაშინ გვაქვს მეორე ალტერნატივა – ეს არის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი, რომელიც მოცულობით უფრო პატარაა. თუ სხვა გზა არ იქნება, მაშინ ეს აქცია იქ გაიმართება, იქ ვიპოვით გზებს, როგორ დავაკმაყოფილოთ აქციაზე დასწრების ყველა მსურველი.

მსურველი კი, მაია ფანჯიკიძის თქმით, ძალიან ბევრი იქნება. მისი განცხადებით, შესაბამის უწყებებში განაცხადები მთელი ერთი თვით ადრეა შეტანილი, პასუხი კი განაცხადის შეტანიდან 5 დღეში უნდა იყოს. თეორიული შანსი იმისა, რომ ივანიშვილს არც ერთ სტადიონზე არ შეუშვებენ, მაინც არსებობს.

– იმედი მაქვს, ორივე სტადიონის ხელმძღვანელობა დადებითად გამოეხმაურება ჩვენს მოთხოვნას. თუ მოხდა სასწაული და არც ერთმა მოგვცა თანხმობა, დამერწმუნეთ, ჩვენ სხვა იდეებიც გვაქვს. ამ იდეებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერის თქმით, მათი მიზანია, ჩატარდეს ხალხმრავალი შეხვედრა, თუკი სიტყვა „აქცია“ საპროტესტო გამოსვლასთან ასოცირდება, ჯობს, ეს ღონისძიება სწორედ ასე იყოს მოხსენიებული – ფართომასშტაბიანი შეხვედრა

**მაია ფანჯიკიძე:**

– 26 მაისი ყველას ეკუთვნის, არამარტო ხელისუფლებას. 26 მაისი არის საქართველოს ეროვნული დღესასწაული, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე და იგი თანაბრად ეკუთვნის საქართველოს თითოეულ მოქალაქეს. აქედან გამომდინარე, ყველას აქვს უფლება, რაღაც დაუკავშიროს ამ მნიშვნელოვან თარიღს.

26 მაისს იწყება ჩვენი საარჩევნო კამპანია. რასაკვირველია, ეს თარიღი შემთხვევითი არ არის. დამოუკიდებლობის დღეს იწყება საქართველოს ახალი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ოღონდ ამჯერად უნდა მივიღოთ სააკაშვილის რეჟიმისგან დამოუკიდებლობა. ვფიქრობთ, რომ ჩვენ ისეთივე უფლება გვაქვს ამ თარიღის აღნიშვნისა, როგორც ყველა ქართველს.

ეს იქნება საარჩევნო კამპანიის დასაწყისი. მოთხოვნები არ იქნება დაყენებული, ჩვენ გვაქვს მხოლოდ მოწოდება ქართველი ხალხისადმი, რომ არჩევნების გზით შევცვალოთ ხელისუფლება და ეს მოწოდება გამოიხატება იმაში, რომ ყველამ უნდა იგრძნოს თავისი ვალი, მოქალაქეობრივი ვალი, რომ არჩევნებში მონაწილეობა ნიშნავს ქვეყნის ბედის განსაზღვრას. ყველამ უნდა იცოდეს, არჩევნების მომენტში იქნება მარტო და შეუძლია, თავისუფალი არჩევანი გააკეთოს, ხოლო მისი ხმა იქნება დაცული.

ვიმეორებ, ჩვენ არ გვაქვს არავითარი მოთხოვნა არავის მიმართ, ჩვენ ამ ხელისუფლებას არ მივიჩნევთ იმის ღირსად, რომ მას რამე მოვთხოვოთ. მას ვაცდით ოქტომბრამდე, რაც გათვალისწინებულია კონსტიტუციით. არჩევნების მერე კი გავუშვებთ. ესა არის ჩვენი მიზანი. რაც შეეხება საარჩევნო კამპანიას, ის იქნება ძალიან მრავალფეროვანი, ძალიან საინტერესო და ამ კამპანიის დასაწყისი არის სწორედ ეს დიდი შეკრება, ხოლო შემდეგი ნაბიჯები რა იქნება, ამას დროთა განმავლობაში გაიგებთ.

# თამაზაშვილი 3,5 წლით გაუშვეს ციხეში

## ივანიშვილი მას თანამდებობას დაჰპირდა

შალვა ჯოხაძე

ბიძინა ივანიშვილს ქართული სასამართლოს ნამუსზე შეგდება არ გამოუვიდა. „პატიმრების საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოშვება ძალიან ხშირად ხდება. შეგიძლია კაცი მოკლა, მაგრამ თუ ფულს გადაიხდი, საპროცესო შეთანხმებით გარეთ გამოხვალ. ასეთი სასამართლო აქვს სააკაშვილს. ერთადერთი კაცი, რომელზეც საპროცესო შეთანხმებამ არ იმუშავა, თამაზ თამაზაშვილია... დარწმუნებული ვარ, სასამართლო იმ გადაწყვეტილებას მიიღებს, რაც სააკაშვილს სურს, – ასეთი განცხადება გააკეთა თამაზაშვილის სასამართლო პროცესის პარალელურად ივანიშვილმა. მისი სიტყვები ახდა და სასამართლომ სააკაშვილს ისევ არ აწყენინა. თამაზ



თამაზაშვილს განაჩენი გამოუტანეს.

თამაზ თამაზაშვილი ფონდ „ქართუს“ ყოფილი პრეზიდენტის და ამჟამად ბიძინა ივანიშვილის პარტიის წევრის, ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრია. მისი დაპატიმრებაც სიძის საქმიანობას უკავშირდება.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– თამაზ თამაზაშვილი, რომელიც გახლავთ ჩემი ახლობელი ადამიანის, ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი, შარშან, ექვს ოქტომბერს დააკავეს ტრადიციული წესით, ავტომატის ჩადებით. ეს მოხდა პოლიტიკაში წასვლასთან დაკავშირებით ჩემი განცხადებიდან ორ დღეში. საინტერესო ამბავია, რომ 7-ში ჩემი მეორე განცხადება გაკეთდა, სადაც მე გიგა ჩრდილელზე, „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტზე ვსაუბრობდი, რომელიც ჯაშუშად ჰყავდა სააკაშვილის ჯგუფს. სააკაშვილს ეს წესად აქვს. ჩრდილელის ძმა მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში, მასზე სისხლის სამართლის საქმე იყო გახსნილი, სამაგიეროდ, რომ არ დაეჭირათ ჩრდილელის ძმა, ჩრდილელი გაიხადეს ჯაშუშად. მე ამის შესახებ წინასწარ ვიცოდი, მაგრამ არანაირ ქმედებას არ ვახორციელებდი, რადგან არ იყო ჩემთვის საინტერესო. პრინციპში, არაფერი საიდუმლო „ქართუში“ არ ხდებოდა. შესაბამისად, ვფიქრობდი, უფრო წყნარადაც იქნებოდნენ, რიგი ინფორმაცია ექნებოდათ.

ბიძინა ივანიშვილმა გაამხილა, თუ როგორ განვითარდა შემდეგ მოვლენები. ირაკლი ღარიბაშვილმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მისი სიმამრი დაპატიმრებული იყო. 6 ოქტომბერს ჩრდილელმა მას განუცხადა, რომ ყველანი მიდიოდნენ სამსახურიდან და ისიც უნდა წასულიყო, თუკი უნდოდა, რომ მისი სიმამრი სამართალდამცავებს გამოეშვათ.

ირაკლი ღარიბაშვილმა ამაზე უარი განაცხადა, თუმცა, ივანიშვილის თქმით, მან შესთავაზა, ეს რაღაც თამაშია, თუ გინდა თანამდებობიდან წადი და შენს სიმამრს გაათავისუფლებენო. – ოჯახშიც მოილაპარაკეს. ეს ყველაფერი მივიდა ბატონ თამაზ თამაზაშვილის ყურამდეც. მან მკვეთრი პოზიცია დაიჭირა. საკუთარი თავისუფლება ანაცვალა იმ საქმეს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და როცა ირაკლი ღარიბაშვილმა ოჯახში დააყენა საკითხი, რომ ის, სიმამრის თავისუფლების სანაცვლოდ, მზად იყო გადამდგარიყო თანამდებობიდან, ამაზე უარი თავად თამაზაშვილმა განაცხადა. თამაზაშვილი იქნება ჩვენი პარტიის წევრი და როცა ხელისუფლებაში მოვალთ, ის დაიკავებს შს სამინისტროში ერთ-ერთ მთავარ პოსტს, მას ამის გამოცდილება აქვს, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

თამაზ თამაზაშვილი კახეთის პოლიციის ყოფილი უფროსია. მას გენერლის ჩინი აქვს. პროკურატურა თამაზ თამაზაშვილს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-შენახვას და ტარებას ედავებოდა. თამაზ თამაზაშვილი დანაშაულს არ აღიარებს. აღსანიშნავია, რომ თამაზაშვილის დაკავებიდან მოკლე ხანში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში მისი სახლი დაიწვა. სახლს ხანძარი გაურკვეველ ვითარებაში გაუჩნდა, მეხანძრეები კი შემთხვევის ადგილზე 1 საათის დაგვიანებით მივიდნენ.

თამაზ თამაზაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ განაჩენი გამოუტანა, 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

თამაზ თამაზაშვილის ადვოკატის, შალვა თადუმაძის თქმით, ესაა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პოლიტიკური ნიშნით გამოტანილი კიდევ ერთი გადაწყვეტილება.

– თამაზ თამაზაშვილს 3,5-წლიანი პატიმრობა შეეფარდა იმ დანაშაულისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია, იმ დანაშაულისათვის, რასაც საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ადასტურებს, – აცხადებს შალვა თადუმაძე.

დაკავებულის სიძე, ირაკლი ღარიბაშვილი კი აცხადებს, რომ განაჩენს გაასაჩივრებენ.

– ჩემი სიმამრი არის პოლიტიკური პატიმარი, ის პოლიტიკური მოტივით დააკავეს. შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება არის უსამართლო, ჩვენ მას აუცილებლად გავასაჩივრებთ, სააპელაციო სასამართლოს მივმართავთ. თუ საჭირო გახდა, მერე აუცილებლად მივმართავთ ევროსასამართლოსაც, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

როგორც აღვნიშნეთ, ბიძინა ივანიშვილის თქმით, როდესაც ხელისუფლებაში მოვა, თამაზ თამაზაშვილს შინაგან საქმეთა სამინისტროში სერიოზულ პოსტს ჩააბარებს. მანამდე კი, თამაზაშვილი მისი პარტიის წევრი იქნება. ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ დააზუსტა, რომ თამაზ თამაზაშვილი შესაძლოა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სიმბოლური წევრი გახდეს.

მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, თუ კანონი იმის საშუალებას არ მისცემთ, რომ პატიმარი პარტიის წევრი გახდეს, მაშინ სიმბოლური წევრობაც შესაძლებელია, რადგან ისინი კანონის დარღვევას არ აპირებენ.

ფანჯიკიძის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თამაზაშვილი შსს-ში ერთ-ერთ წამყვან პოზიციას დაიკავებს, თანამდებობის წინასწარ დარიგებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

– ივანიშვილის განცხადება, რომ თამაზ თამაზაშვილი შსს-ში დაიკავებს ადგილს, არ მიმაჩნია თანამდებობის წინასწარ დარიგებად, ეს არის განაცხადი იმაზე, რომ ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პროფესიონალი თავის ადგილს იპოვის, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

კითხვაზე, როგორ მოხდება პატიმრობაში მყოფი ადამიანის პარტიაში გაწევრიანება, ფანჯიკიძემ დასძინა, რომ მან არ იცის, აქვს თუ არა უფლება პატიმარს პარტიის წევრი გახდეს.

– პატიმრობაში მყოფ ადამიანსაც აქვს გარკვეული უფლებები და ამ უფლებების გამოყენება მოხდება, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

# კუკავას პარტია ბიზნესმენების დატერორებაზე ალაპარაკდა

## კარგად დაგეგმილი და ცუდად შენიღბული სპეცოპერაცია კახეთში

შალვა ჯოხაძე

**კახა კუკავას პარტია „თავისუფალი საქართველო“ ბიზნესზე განხორციელებული ტერორის ახალი ტალღის შესახებ საუბრობს. ამჯერად, კახეთზე აკეთებენ აქცენტს. პარტიის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, გიორგი მოსიაშვილი აცხადებს, რომ 25 აპრილს თელავის მუნიციპალიტეტში ხელისუფლების მიერ კერძო ბიზნესზე ტერორი განხორციელდა.**



გიორგი მოსიაშვილი

– დაილუქა შპს „ავტოგაზის“ კუთვნილი ათზე მეტი ობიექტი და დააკავეს იმავე ორგანიზაციის დირექტორი ზაზა დოლმაზაშვილი. დაკავების მიზეზად ხელისუფლების წარმომადგენლები ოფიციალურად ასახელებენ შპს „ავტოგაზის“ დირექტორის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას პოლიციის თანამშრომელთა მიმართ, რაზეც აღიძრა საქმე სსკ-ის 125-ე და 353-ე მუხლებით.

როგორც ჩანს, ხელისუფლებამ წამოიწყო მორიგი „პროფილაქტიკურ“ ღონისძიებათა სერია ბიზნესმენთა მიმართ, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, საარჩევნოდ მეწარმეთა აბსოლუტურ კონტროლს და მეორე მხრივ, თანხების მაქსიმალურ მობილიზებას ნაციონალური მოძრაობის „საერთო ყულაბაში“, – აცხადებს გიორგი მოსიაშვილი.

მოსიაშვილის ცნობით, ეს საწარმო ეკუთვნის ბიზნესმენ შოთა დემინაშვილს, რომლის მიმართ მსგავსი ქმედება პირველი არ არის.

– გამოვთქვამთ საფუძვლიან ეჭვს, რომ ხელისუფლების კარგად დაგეგმილ და ცუდად შენიღბულ სპეცოპერაციას სამთავრობო წრეებში ჰყავს განსაკუთრებული „ლობისტები“, რომელთა ინტერესებშიც შედის აღნიშნული საწარმოს სრული ლიკვიდაცია, რადგან ამ კონკრეტულმა შპს-მ კახეთში შექმნა კონკურენტული გარემო გაზგასამართი სადგურების სფეროში, იგივე დარგში კი წარმატების პრეტენზია აქვს კიდევ რამდენიმე კომპანიას, როგორებიცაა „ვისოლი“ და „ავტოგაზი პირველი“, რომელთა „მფარველები“ ხელისუფლების მმართველ ელიტას წარმოადგენენ, – აცხადებს მოსიაშვილი.

„თავისუფალი საქართველოს“ კახეთის რეგიონული ორგანიზაციის იურისტები რამდენიმე დღეში დეტალურად გააცნობენ საზოგადოებას თუ ორი კონკრეტული კომპანიის უკან ვინ დგას და რა ხერხებით ებრძვიან ისინი კონკურენტებს.

– მინდა აქვე აღვნიშნო, რომ შპს „ავტოგაზი“ და მისი მფლობელი შოთა დემინაშვილი რეგიონში გამოირჩევა, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესმენი და მეცენატი, მის სახელს უკავშირდება უამრავი გაჭირვებული ოჯახის მატერიალური დახმარება, უამრავი ავადმყოფი ადამიანის ფინანსური დახმარება, უამრავ ობოლ ბავშვზე მზრუნველობის აღება. უშუალოდ კომპანიის მიერ თელავში განხორციელდა მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი, – დასძენს მოსიაშვილი.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაცია მიმართავს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მეწარმეთა უფლებების დაცვით ორგანიზაციებს, საქართველოში წარმოდგენილ დიპლომატიურ კორპუსს, ჟურნალისტებს, დაინტერესდნენ არსებული უკანონო და ძალადობრივი ქმედებით ხელისუფლების მხრიდან, რაც, მათი დასკვნით, საქართველოში არცთუ იშვიათ მოვლენად იქცა.

# რუსეთმა საქართველოს შეიძლება კიდევ ერთხელ დაარტყას

## ინტერვიუ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძესთან

გულიკო ბალაძე

***— აშშ-ში დაიწო საუბრები საქართველოს ნატოში მიღებაზე მხარდაჭერის თაობაზე. ამ საუბრებს ნატოს წარმომადგენელიც ესწრებოდა. ნატოს ჩიკაკოს სამიტის წინ ამ საკითხის გააქტიურება რით შეიძლება აიხსნას? ამ საკითხთან დაკავშირებით ჩიკაგოს სამიტზე რაიმე სიახლეს უნდა ელოდეს საქართველო?***

— ორი ძალიან მნიშვნელოვანი რამ ითქვა — პირველი — თუ საქართველოს მიღება ნატოში შეფერხდება იმით, რომ ამ ქვეყანაში რუსის ჯარი დგას, ეს რუსის ჯარს აძლევს ნატოში საქართველოს შესვლაზე ვეტოს დადების უფლებას, ანუ რუსეთი არ გაიყვანს ჯარს მანამდე, სანამ საქართველოს ნატოში შესვლას არ მოინდომებს. ე.ი. რუსეთი ჯარს ნებით არასოდეს გაიყვანს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტია. საქართველოს ნატოში შესვლის ჩამოკიდება იმაზე, რომ რუსეთის საქართველოდან გასვლაზე სწორი არ იქნება, ანუ საქართველო ნატოში უნდა იქნეს მიღებული იმიტომ, რომ რუსეთს ვეტოს შესაძლებლობა არ ჰქონდეს. ეს მნიშვნელოვანი არგუმენტია. მეორე მნიშვნელოვანი არგუმენტია გერმანიის მაგალითი. გერმანია ორად იყო გაყოფილი, ნახევარი გერმანია რუსებს ეჭირათ, მაგრამ ხომ მივიღეთ გერმანია ნატოში. ამიტომ შეიძლება ითქვას, რაც ტელევიზიით მოვისმინეთ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების ლაპარაკი, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნატოში შესვლის და, საერთოდ, საქართველოს ნატოსთან დაკავშირების პროცესში ძალიან დიდი ნაბიჯი გადაიდგა. ეს ძალიან დიდი მიღწევაა.

***— თუმცა, უკეთესი მდგომარეობა გვქონდა ადრე, მაგრამ ნატოში მაინც არ მიგვიღეს.***

— მდგომარეობა არ წყვეტს საქმეს. საქმეს წყვეტს ორი ქვეყნის პოლიტიკური განწყობილება. მაშინ ჩვენ ნატოში არ მიგვიღეს პირწმინდად გერმანიის წინააღმდეგობის გამო. გერმანია რატომ უწევს წინააღმდეგობას საქართველოს შესვლას ნატოში ხან ღიად და ხან ფარულად, ეს ცნობილია. გერმანია ძალიან დიდი შესაძლებლობა და სურვილი აქვს, რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობისა. სხვებთან შედარებით რუსეთის ნედლეულის ბაზარზე უკეთესი მდგომარეობაა. რუსეთის ნედლეულის ბაზარი და რუსეთის ბაზარი, საერთოდ, გერმანიისთვის ძალიან დიდი შეღავათი და პლუსია მსოფლიოში ეკონომიკური პირველობისთვის.

***— რა შანსია ახლა იმისა, რომ გერმანია თავის პოზიციას შეიცვლიდა და ამ შესაძლებლობაზე უარს იტყვის.***

— მოქავშირეები ერთმანეთს ანგარიშს უწევენ. როცა დაინახავს, დანარჩენი მოკავშირეეების რაღაც ნიშნულზე უფრო დიდ სურვილს, მაშინ გერმანია პოზიციას შეიცვლის.

***— თუმცა, საკითხავია, რამდენად სერიოზულია საქართველოს ნატოში მიღების სურვილი ალიანსის წევრი ქვეყნების მხრიდან? შესაძლებელია ეს იყოს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ლობისტების მუშაობის შედეგი და ამით მთავრდება საკითხი?***

— კონგრესის დონეზე ლაპარაკს ტუილად არ იწყებენ. თუ არ არის შედეგის მიღების შანსი, მაშინ ლაპარაკს არავინ დაიწყებს. როდესაც საკითხი განიხილება, მათი კაპარაკი უშედეგოდ არაფრით არ ჩაივლის. ასე რომ, ეს რეალურად მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამაზე რუსეთის რეაგირებაა საინტერესო. წინასწარ ხომ არის ცნობილი, რომ ასეთი ლაპარაკი იქნებოდა.

***— რუსეთი ემზადება ხოლმე ასეთი პროცესებისათვის.***

— რასაკვირველია. საერთოდ, რუსეთმა წინდაწინ ანქვაბს უბრძანა და ანქვაბმა აფხაზეთიდან დასავლელი დიპლომატები გააძევა.

***— ასე ეუთოს დამკვირვებლები***




***ადრეც გააძევეს კონფლიქტის ზონებიდან***

— ანქვაბმა დასავლეთს აფხაზეთში საერთოდ ფეხი ამოუკვეთა. ანქვაბმა თქვა, რომ ის დიპლომატი, რომელიც არ ცნობს აფხაზეთს, იქ ვერ იქნება. არც ერთი დიპლომატი, რომელიც იქ არის, აფხაზეთს არ ცნობს, ამიტომ იქიდან უნდა წამოვიდეს. ეს არის რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გააქტიურება ორი მიმართულებით. პირველი — თუ რუსეთი აფხაზეთში დიდი ძალის კონცენტრაციას მოინდომებს, ეს დასავლეთის მხედველობის არის მიღმა უნდა მოახდინოს. თუ რუსეთი მოინდომებს ბლეფობას, თითქოს ძალიან დიდ სამხედრო ძალას მოუყარა თავი აფხაზეთში და ამის საფუძველზე მუქარას შეეცდება, დასავლელი დიპლომატები იქ არ იქნებიან და ამის მნახავი იქ არავინ იქნება. ბევრი რამის დანახვა შეიძლება კოსმოსიდან, მაგრამ ყველაფრისა — არა. რაღაც-რაღაცები არის ისეთი, რასაც კაცი ქუჩაში მიდის და სოფელში რომ გაისეირნებს, ხედავს.

***— ისე ანქვაბს რუსებთან ერთგულება ხომ არ ჰქონდა დასამტკიცებელი, რადგან მას ბევრჯერ მოუწყეს ტერაქტი და ამბობდნენ, რომ რუსეთის ხელი ერია?***

— არა, ანქვაბის ერთგულებას რუსეთისადმი საზღვარი არ აქვს. აფხაზეთია მორჩილებას რუსეთისადმი საზღვარი არ აქვს და ანქვაბის მორჩილებას აფხაზეთისადმი საზღვარი არ აქვს. ასე რომ, ამ ფაქტორის გაძლიერება და შესუსტება საერთოდ, არ ხდება. რუსეთი ცალსახად კარნახობს აფხაზეთსა და ანქვაბს.

***— ისე, საქვეყნოდ ხომ განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებში პუტინს მისცა ხმა. ეს აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ დამოუკიდებლობაზე საუბარი ზედმეტია.***

— რა თქმა უნდა. ე.ი. აქ არის მოტივი რუსეთის მოქმედებისა და არა ანქვაბის მოქმედებისა. ანქვაბი მოტივირებულია რუსეთის ნებით. რუსეთის მოტივაცია არის ორიდან ერთი — ან არის იმ მიზნით, რომ დამალოს შეიარაღებათა კონცენტრაცია, ან არის იმ მიზნით, რომ დამალოს თავისი ბლეფი, თითქოს აფხაზეთში სამხედრო ძალების კონცენტრაცია ხდება, ან კიდევ შეიძლება იყოს ხან ერთი და ხან მეორე. ყველა შემთხვევაში პოლიტიკის გააქტიურებაზეა საუბარი. ეს იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ჩრდილო კავკასიაში რუსეთი თავის ძალებს ძალიან აძლიერებს. რუსეთმა 2008 წელთან შედარებით რამდენიმეჯერ გაადიდა თავისი სამხედრო ძალები. მაშინ კავკასიაში ორი არმია იდგა, 52-ე და 53-ე. ერთი არმია კიდევ ზურგში ჰყავდათ, ჩრდილოეთით, როსტოვისკენ. ორი სახმელეთო არმია ჰყავდა, ერთი სამსროლელო არმია, ზურგში კი — სატანკო არმია. ახლა ეს ძალები გააორკეცეს და გაასამკეცეს. რეალურად, რუსებს აღნიშნული ძალები ჩრდილო კავასიის წინააღმდეგ უნდათ, რათა იქ არაფერი გაფაჩუნდეს. თუმცა, ბლეფობენ და შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ეს უნდათ საქართველოზე კიდევ ერთხელ დასარტყმელად. საქართველოზე დარტყმა გამორიცხული არაა, რადგან ქვეყნის მმართველ ძალებს პუტინსა და სხვებს არ აქვთ იმის ფუფუნება, მხოლოდ და მხოლოდ თავისი ქვეყნის ინტერესებზე, როგორც ჩვეულებრივ მმართველებს აქვთ. ისინი იძულებული არიან იფიქრონ, პირველ ყოვლისა, თავის პირად ინტერესებზე რუსეთში.

***— თუკი, როგორც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რუსეთმა საქართველოსთან ომით წააგო, თქვენც ამბობთ ხოლმე, რომ რუსეთი 2008 წლის ომით ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა საერთაშორისო ასპარეზზე. კიდევ რაღატომ შემოუტევს საქართველოს და მსოფლიოში გაიფუჭებს საქმეს. როგორც ამბობენ ხოლმე?***

— ასეთი განლაგებაა — თუ რუსეთი საქართველოსთან საქმეს გამწვავებისკენ წაიყვანს, რუსეთი წააგებს. ეს გარდაუვალია, რაც პუტინმაც იცის, მაგრამ პუტინი ფიქრობს იმაზე, თვით მისმა პრესტიჟმა არ წააგოს რუსეთში, ვიდრე იმაზე, რომ რუსეთმა არ წააგოს მსოფლიოში.

***— ისე, ხომ უღირდა რუსეთს რისკი და მსოფლიოში წაგება ტერიტორიების მიტაცების სანაცვლოდ? სად არის წაგება? რუსეთს არაფერიც არ წაუგია.***

— წაგებაა ის, რომ რუსეთის, ამ

გაგრძელება მე-6 გვერდზე




ყურადღება

პროექტი „კარდაკარი“ დაიწყო.

„კარდაკარი“ მთელი საქართველოს მასშტაბით 20 აპრილიდან 10 ივნისამდე განხორციელდება და 11100 რეგისტრატორი გადაამოწმებს ამომრჩეველთა სიას.

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ ამომრჩეველთა სიის დაზუსტებისათვის.

თუ ამ პერიოდის განმავლობაში თქვენთან არ მოვა კარდაკარის რეგისტრატორი ან მოვა და კვლავ დაგრჩებათ კითხვები, დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 262-32-32

ახლავე გადაამოწმეთ თქვენი მონაცემები

კომისიის ვებ გვერდზე: www.sia.gov.ge
ან sms საშუალებით ნომერზე: 2012

ჩაერთე!!!

ერთად დავაზუსტოთ ამომრჩეველთა სია

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისია

# როგორ ჩაერთვებიან ვეტერანები სარეზერვო სამსახურში

შორენა გონგლაძე

**საქართველოს თავდაცვის რეზერვის სისტემის კონცეფციის პროექტი რვაგვერდიანი დოკუმენტია, რომელიც მთავრობის პოლიტიკას განსაზღვრავს თავდაცვის რეზერვის სისტემის ფორმირებისა და შემდგომი განვითარებისთვის.**




კონცეფციის პროექტის შესაბამისად, თავდაცვის რეზერვი, მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად, ორ კატეგორიად იყოფა: სახმელეთო ჯარების რეზერვის (შემდგომში თავდაცვის ძალები) ძირითადი ამოცანაა საომარი მოქმედებების დროს შეიარაღებული ძალების მოქმედი ქვედანაყოფების მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში მათი სრულფასოვანი ჩანაცვლება და სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა. ასევე, ისინი მოახდენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დახმარებას საგანგებო სიტუაციების დროს. ეს ყოველივე კი განხორციელდება შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის გეგმებისა და მითითებების მიხედვით.

მეორე კატეგორიაა ტერიტორიული თავდაცვის რეზერვი, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა საომარი მოქმედებების დროს სამოქალაქო თავდაცვისა და ზურგის ოპერაციებზე. საჭიროების შემთხვევაში კი, ის დაეხმარება სახმელეთო ჯარების რეზერვს, — აღნიშნულ მასალას ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეტი“ ავრცელებს.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბათუ ქუთელია „ნეტგაზეტთან“ საუბარში განმარტავს, რომ კრიზისულ და საგანგებო სიტუაციებში ტერიტორიული თავდაცვის რეზერვი დახმარებას გაუწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

კონცეფციის შესაბამისად, სახმელეთო ჯარების სარდლობა ახორციელებს სახმელეთო ჯარების რეზერვის საბრძოლო მომზადებას და მართვას, რომელიც კომპლექტდება სავალდებულო ან/და ნებაყოფლობითი გაწვევის პრინციპით, ხოლო ეროვნული გვარდიის დეპარტამენტი (ტერიტორიული თავდაცვის დეპარტამენტი) ახორციელებს ტერიტორიული თავდაცვის საბრძოლო მომზადებას და მართვას, რომელიც კომპლექტდება ნებაყოფლობითობის საფუძველზე.

„ამ შემთხვევაში მართვის ძირითადი ფუნქცია ექნება ეროვნული გვარდიის დეპარტამენტს. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ იყოს მოქნილი სისტემა, არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე, ზუსტად მოხდეს რეაგირება და მაქსიმალურად ეფექტურად იყოს ყველა რესურსი გამოყენებული“, — აღნიშნავს ქუთელია.

სამხედრო ექსპერტი, თადარიგის პოლკოვნიკი გიორგი თავდგირიძე აცხადებს, რომ საჭიროა მოხდეს ცნებების ზუსტი განმარტება უშიშროების საბჭოს კონცეფციაში:

„ბოლოს და ბოლოს, ყველა ცნებას უნდა ჰქონდეს თავისი სახელი. რეზერვი — ეს არის ფართო ცნება, რომელსაც სხვადასხვა დანიშნულება აქვს. რეზერვი შეიძლება იყოს დანაკარგების შევსებისთვის, რეზერვი შეიძლება იყოს კადრირებული ქვედანაყოფებისთვის. რომელი ფორმითაც ახლა ყალიბდება ტერიტორიული რეზერვი, არის ცალკე ჯგუფები. ამიტომ, ეს უფრო სახალხო ლაშქარია, ვიდრე რაიმე ფორმის რეზერვი. აქედან გამომდინარე, ბოლოს და ბოლოს ჩამოვყალიბდეთ და დავარქვათ მას სახალხო ლაშქარი, ან ეროვნული ლაშქარი. შესაბამისად, უნდა გაჩნდეს ეს ცნება და აღარ ავურევთ რეზერვისტს, რეზერვს და ა.შ. ერთმანეთში. ასევე, მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი მისი ფუნქციები და სტრუქტურები, თუ როგორ იმოქმედებენ“, — აღნიშნავს თავდგირიძე.

გიორგი თავდგირიძემ ვეტერანების ჩართულობაზეც გაამახვილა ყურადღება:

„არსებული რეალობიდან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია მოხალისეობის პრინციპით შეიქმნას 6 ბატალიონი და ის დაკომპლექტდეს იმ ადამიანებით, რომელთაც ვეტერანის კატეგორია აქვთ“.

# ლეიბორისტები გლეხებისთვის საწვავის დარიგებას ითხოვენ

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტები ხელისუფლებას ქართული სოფლებისა და გლეხობის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკაში ამხელენ და პრეზიდენტ სააკაშვილს მოუწოდებენ, გლეხებს 50 ლიტრი დიზელის საწვავი მისცეს, რათა მათ მიწების დამუშავება შეძლონ.**


გიორგი გუგავა

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი გიორგი გუგავა მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყანაში საწვავზე, კონკრეტულად, დიზელზე არის კატასტროფულად მაღალი ფასი, რის გამოც დაუხნავი და დაუთესავია სავარგულების უმეტესი ნაწილი.

— მივმართავთ ნავთობშეიხ სააკაშვილს, რომელმაც საწვავის ბიზნესში მაღალი ფასებით უკვე დააგროვა მილიარდები: დაავალოს საკუთარ ნავთობკომპანიებს, რომ სოფლად მცხოვრებ თითოეულ ოჯახს გამოუყოს 50 ლიტრის ოდენობის დიზელი, რათა გლეხმა წლიდან წლამდე თავის გადასარჩენი მოსავალი მაინც მოიწიოს, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი გუგავამ. მისი თქმით, დღევანდელი მდგომარეობით სახნავ-სათესი ფართობების 70% დაუმუშავებელია. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, დიზელზე ძალიან მაღალი ფასების დაწესებით არის გამოწვეული.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, საწვავის ბიზნესი მთლიანად მონოპლიზებული აქვს სააკაშვილს და მის ოჯახს და ამიტომაც ვუწოდებთ მას ნავთობშეიხს ლეიბორისტები.

ლეიბორისტების ინფორმაციით, ერთი ჰექტარი მიწის დამუშავება დაახლოებით 500 ლარი ჯდება. 150 ლარი სჭირდება დახვნა- დათესვას, დანარჩენი საჭიროა სასუქებისთვის, ნიტრატებისთვის და ა. შ. სოფლად კი ამ თანხის გაღების საშუალება მოსახლეობის უმეტესობას არ აქვს.

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა პრესკონფერენციაზე გაიხსენა პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ სიამოვნებს, როცა თვითმფრინავიდან იყურება და ხედავს, რომ მიწების უდიდესი ნაწილი დამუშავებულია.

— სააკაშვილს მოსწონს, აღმა-დაღმა რომ დადის და სიამოვნებს, როცა სოფლის მეურნეობის მდგომარეობას აფასებს თვითმფრინავიდან. როცა სააკაშვილი აქეთ-იქით დაფშტვიალებს და საქართველოს გადაუფრენს, თურმე ლამაზად ჩანს ყველაფერი ზემოდან. ამ დროს ადგილზე უამრავი პრობლემაა შექმნილი. კონკრეტულად გეტყვით, გურჯაანის რაიონში არის 19 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი. აქედან მხოლოდ 2,5 არის დამუშავებული. დანარჩენი დაუმუშავებელია. გლეხებს იმდენი მოსავალიც ვერ მოჰყავთ, რომ წლიდან-წლამდე თავი გაიტანონ. ამიტომ არის, რომ გლეხები ან თბილისში გამორბიან, ან საზღვარგარეთ. ამ მიწებს კი ჩინელები, ბურები ან სხვა უცხოტომელები იკავებენ, — აღნიშნა გიორგი გუგავამ. მისი თქმით, მთავარი უბედურება სოფლის დაქცევისა, სხვა პრობლემებთან ერთად, არის დიზელის უძვირესი, კატასტროფულად მაღალი ფასი.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, გლეხებს მძიმე ტვირთად აწევთ აგრეთვე კულტივაციის, სარწყავი წყლის გაძვირებული ფასი და ა. შ. აქედან გამომდინარე, სრულიად წამგებიანია დღეს მიწაზე მუშაობა.

— საქართველოს უმთავრესი ფუნქცია არის სოფლის მეურნეობის განვითარება. მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარებით შესაძლებელია მოგება ნახოს ქვეყანამ, იგივე ტურიზმით. თუ ეს ერთობლიობაში არ არის, ბუნებრივია, მუდმივად იქნება ის პრობლემები, რის წინაშეც დღეს ვდგავართ, — აღნიშნა გიორგი გუგავამ.

გუშინვე ნათელაშვილის თანაგუნდელი შეეხო სოფლად სახნავ-სათესი ტექნიკის პრობლემასაც და აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ ცოტა ტრაქტორებია სოფლად, ახალი ტრაქტორებით მომსახურება ბევრად ძვირი ჯდება, ვიდრე აქა-იქ შემორჩენილი ძველი ტრაქტორით.

— ასე აბითურებს ჩვენი ხელისუფლება მოსახლეობას, თითქოს სოფლის პრობლემები მოაგვარა. თუ ეს ვითარება არ შეიცვალა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. ჩვენ ვითხოვთ, ყოველგვარი ვაუჩერიზაციის გარეშე გაიცეს თითო ოჯახზე 50 ლიტრი დიზელი სოფლად, — განაცხადა ბოლოს გიორგი გუგავამ და პრეზიდენტს მოუწოდა, დაავალოს ბიზნეს-მაგნატ დავით კეზერაშვილს ამ პრობლემის მოგვარება, რომელიც პრეზიდენტის დავალებით ნავთობბიზნესს აკონტროლებს ქვეყანაში.

# მაკა ასათიანი და მისი ოჯახის წევრები 900 ათასი ლარით დაჯარიმდნენ

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაკა ასათიანი და მისი ოჯახის წევრები, კერძოდ, და და დედა, 900 ათასი ლარით დაჯარიმდნენ.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მაკა ასათიანის ადვოკატმა, დიმიტრი გაბუნიამ განუცხადა.

საქმე ეხება „მერსედეს ბენცის“ საქართველოს წარმომადგენლობის, შპს „აკას“ 20%-იანი წილის მფლობელ დავით ძოწენიძეს, რომელმაც ასათიანების ოჯახისთვის ჩამორთმეული წილის გადაფორმების შემდეგ, წილიდან დივიდენდების მოთხოვნით სასამართლოში ახალი სარჩელი შეიტანა.



„საქალაქო სასამართლომ ძოწენიძის სარჩელი სრულად დააკმაყოფილა და მაკა ასათიანს და მისი ოჯახის წევრებს 900 ათასი ლარი დააკისრა“, — განაცხადა გაბუნიამ.

ასათიანის ოხაჯის ადვოკატები ამ გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

ამასთან, ადვოკატები ევროსასამართლოსაც მიმართავენ, რისთვისაც დიმიტრი გაბუნია სტრასბურგში 16 მაისს გაემგზავრება.

ასათიანის ინტერესების დამცველები სასამართლოს გადაწყვეტილებას მაკა ასათიანის მხრიდან ტელეკომპანია „მაესტროს“ დაფინანსებას უკავშირებენ და მის დაჯარიმებას სადამსჯელო ღონისძიებად აფასებენ.

დავით ძოწენიძეს „აკას“ 20% უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 12 თებერვალს გადაეცა.

დამატებით განცხადებას მაკა ასათიანის ოჯახის ადვოკატები დღეს, 13:00 საათზე სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გააკეთებენ.

ინტერპრესნიუსი

# მთავრობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებებს ითხოვს

რამდენიმე თვის წინ პარლამენტის მიერ მიღებულ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში, მთავრობა ცვლილებებს ითხოვს. კანონპროექტის ინიცირება პარლამენტში გუშინდელ ბიუროს სხდომაზე მოხდა.

როგორც პროექტის შესახებ არსებულ ანოტაციაშია მითითებული, კანონპროექტით განისაზღვრება მონაცემთა დამმუშავებლის უფლებამოსილება, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის საშუალებით განახორციელოს მონაცემთა დამუშავება, ასევე, იცვლება და ფართოვდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლები.

იმავდროულად, ცვლილება შედის „სისხლის სამართლის კოდექსში“, რომლის მხიედვით, „პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება, თუკი ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“.

„ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების პროექტით კი, როგორც ანოტაციაშია ნათქვამი, ტერმინი „პირადი საიდუმლო“ შეიცვლება ტერმინით „პერსონალური მონაცემი“ და იმავდროულად, კოდექსიდან ამოღებული იქნება ის მუხლები, რომლებიც აწესრიგებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას, მასში შესწორების შეტანას ან მათ განადგურებას.

აღნიშნულ კანონპროექტზე მსჯელობა მთავრობის Dდღევანდელ სხდომაზეც უნდა ყოფილიყო.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ განაცხადა, მთავრობის მიერ ამ პაკეტზე დღეს მიღებული გადაწყვეტილებები, უკვე ინიცირებულ პროექტს „დაეწევა“.

თავდაპირველად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონპროექტის ავტორი იუსტიციის სამინისტრო იყო, ინიციატორი კი დეპუტატი კახა ანჯაფარიძე. კანონში დღეს ინიცირებული ცვლილებების ინიციატორი კი მთავრობაა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი პარლამენტმა გასული წლის 28 დეკემბერს მიიღო და ის ძალაში, მიმდინარე წლის 16 იანვრიდან შევიდა.

ინტერპრესნიუსი

დასაწყისი მე-5 გვერდზე

# რუსეთმა საქართველოს შეიძლება კიდევ ერთხელ დაარტყას

უზარმაზარი იმპერიის საგარეო პოლიტიკა გაბითურდა, რუსეთმა მოინდომა ტერიტორიების დაპყრობა, შეგრიალდა იქ თავისი ტანკებით და მსოფლიომ უთხრა, ნურას უკაცრავად, როგორც შემოეთრიე, ისე წაეთრევი.. აეთრევა..

**— *კი, მაგრამ, ბატონო ნოდარ, გამოღმა შემოდავებით, გაღმა ხომ დარჩა ტერიტორიები? განა, ეს ცოტაა?***

— არა. დღეს მსოფლიო ძალთა მიმართება ცნობილია. მსოფლიოს ინტერესთა მიმართება ცნობილია. ვისი სიტყვა გადის, ვისი არა — ცნობილია დასავლეთი ამბობს, არასოდეს დასავლეთი არ ცნობს ამ ტერიტორიებს საქართველოს გარეთ. რუსეთმა იცის, რომ დასავლეთი რასაც ამბობს, იმას გაიტანს, რუსეთი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან წავა. ახლა თავდება ხმელთაშუა ზღვის გაწმენდა რუსული აგენტურისაგან. კადაფი მოაცილეს. ახა რომ ომებია არიკაში, დაგეგმილი იყო კადაფის მონაწილეობით და რუსული დროშით. კდაფი მოაცილეს და ის ომები დარჩა უპატრონოდ და ეგრევე ჩაქრება. ე.ი. კადაფი დროზე მოაცილეს. ახლა დღის წესრიგში დგას სირიელი ხალხის მიერ თავისი დიქტატორის მოცილება. ეს მაქსიმუმ კიდევ ერთი წლის საქმეა. რუსეთია ტანკერი ხმელთაშუა ზღვაში აღარ დარჩება. მაშინ გააქტიურდება დასავლეთის შემოღწევა შავ ზღვაში. რუმინეთსა და ბულგარეთში დადგება ფლოტი. რუმინეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი ძლიერ ფლოტებს შექმნიან და შავ ზღაში რუსული ფლოტი ჩაჭკნება. ეს არსებითად შეცვლის ვითარებას შავ ზღვაზე, ანუ რუსეთი დარჩება ცარიელი და იძულებული იქნება ჯერ საქართველოდან გავიდეს ერთხელ და სამუდამოდ. შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასიიდანაც გავიდეს იმიტომ, რომ ჩრდილო კავკასიელ ხალხთა გათავისუფლების ამოცანა მსოფლიოს წინაშე დგას.

**— *ამას რამდენი ხანი სჭირდება?***

— ამას სჭირდება 3 წლიდან 20 წლამდე. არ ვიცით, სოჭის ოლიმპიადაზე რა მოხდება. სოჭში დაგეგმილია ოლიმპიადის ჩატარება, მაგრამ სამხრეთ კორეას გამოცხადებული აქვს, მე ყველაფერი მზად მაქვს, შემიძლია ხვალვე ჩავატარო ეს თამაშები.

**— *თუ სოჭის ოლიმპიადა ჩაიშლება, პრობლემა არ იქნება, სამხრეთ კორეაში ჩაატარებენ?***

— დიახ.

**— *რამდენადაა შესაძლებელი სოჭის ოლიმპიადის ჩაშლა?***

— სოჭის ოლიმპიადის ჩაშლა ყოველთვისაა შესაძლებელი. ამ მიმართულებით კონკურენცია დიდია და შესაძლებელია ამ კონკურენციაში მაფიას ჩართვა თავისი მეთოდებით.

**— *ჩიკაგოს სამიტისაგან საქართველო რას უნდა მოელოდეს?***

— საქართველო ჩიკაგოსა სამიტისაგან უნდა ელოდოს ძალიან დიდ დაახლოებას ნატოსთან. მათი ინტერესი გაიზარდა.

**— *მაპზეა საუბარი?***

— მაპი და მსგავსი სტატუსები დოგმა არ არის, როგორც უნდათ, ისე გააკეთებენ. მთავარი ის რეალობაა, რა იქნება. რეალობა იქნება ძალიან დიდი..

**— *საქართველოს ნატოში მიღების ინტერესის გაზრდა რამ გამოიწვია?***

— საქართველოს ნატოში მიღების ინტერესის გაზრდა დრომ მოიტანა. ახლა დღის წესრიგში დგას, დასავლეთის შავ ზღვაში შემოსვლა. სანამ ხმელთაშუა ზღვა არ იყო გაწმენდილი, შავ ზღაზე ფუნდამენტურად შემოსვლაზე ვერავინ იფიქრებდა. ახლა მთავრდება ხმელთა შუაზღვის გაწმენდა. მხოლოდ ალჟირია მეტ-ნაკლებად სიმპათიურად განწყობილი რუსეთის მიმართ. ლიბიის ომის დროს ალჟირის სანაპირო შემთხვევით არ დაუბომბავთ. მგონი, ის ბლოკადა ახლაც გრძელდება. ყოველ შემთხვევაში, რუსეთს ოფიციალური ქმედითი აგენტურა იქ აღარ ჰყავს. ამიტომ იმ ზონაში კუდს ველარ მოიქნევს.

# ბაქრაძემ შეიარაღებულ ძალებს პროფესიული დღესასწაული მიულოცა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს პროფესიული დღესასწაული მიულოცა.

როგორც მან ბიუროს სხდომაზე განაცხადა, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა სიმამაცე, მომზადება და სამშობლოსთვის თავგანწირვა არაერთხელ დაამტკიცა.

„მათ ვუსურვებ, რომ, პრაქტიკულად, საკუთარი თავგანწირვისა და სიმამაცის ჩვენება ჩვენი ქვეყნის დასაცავად არასდროს დასჭირდეთ. თუმცა ყველამ: მტერმაც და მოყვარემაც — ვიცით და უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს მართლაც უმაღლეს დონეზე მომზადებული და მოტივირებული შეიარაღებული ძალები ჰყავს. ისინი ჩვენს ქვეყანას ყოველთვის დაიცავენ“, -— აღნიშნა დავით ბაქრაძემ.


დავით ბაქრაძე

მისი თქმით, ქართველი ხალხი ბოლო პერიოდში დიდი ცვლილებების მოწმეა. ხდება ქართული სამხედრო ტექნიკური კომპლექსის ჩამოყალიბება, რაც 2-3 წლის წინ, პრაქტიკულად, წარმოუდგენელი იყო.

საქართველო დღეს ისეთ „ურთულეს სამხედრო დანადგარებს“ უშვებს, როგორიც ჯავშანმანქანები და უპილოტო თვითმფრინავებია. ეს კი საქართველოს თავდაცვის სისტემაში დიდი სისტემური გარღვევაა. „ამავდროულად, ეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ძალიან მნიშვნელოვანი ზრდაა. ამასთან, ეს ყველა ჩვენი მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოა. ქვეყანა დაცული უნდა იყოს. ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ვუსურვებ, რომ მომავალშიც ასეთივე მომზადებულები და მოტივირებულები ყოფილიყვნენ, თუმცა — მშვიდობიან დროს“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მედიანიუსი

# იმერეთში ხელისუფლება 1 მილიარდ 200 ათასი ლარს დახარჯავს

ოფიციალური ინფორმაციით, 2012-2015 წლებში იმერეთის რეგიონში სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 1 მილიარდ 200 000 ლარი დაიხარჯება. რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტების შესახებ ინფორმაცია ქუთაისში ჩასულმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ტყეშელაშვილი პრეზიდენტის რწმუნებულსა და გამგებლებს სეხვდა.

ოფიციალური ცნობით, პროგრამის ფარგლებში გაუმჯობესდება წყალმომარაგების სისტემები, დაიგება ახალი გზები, შენობების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა, დასაქმებაზე ორიენტირებული სოფლის რეაბილიტაცია ჩაუარდებათ შენობებს. ინფრასტრუქტურული პროექტები იმერეთში უკვე დაწყებულია. მალე დასრულდება საქართველოს პარლამენტის შენობის მშენებლობაც.

,,ჩვენი მოდერნიზაციის გეგმის მიხედვით 2012-2015 წლების განმავლობაში მილიარდ ლარზე მეტი თანხა დაიხარჯება, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციების სახით მთელს რეგიონში, რაც მიმართული იქნება ძირითადად დასაქმების პრობლემის დაძლევისაკენ“, — განაცხადა დავით ტყეშელაშვილმა.

იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ლაშა მაქაცარიას განცხადებით, ასეთი სახის შეხვედრები ხელს შეუწყობს ამ სფეროებში წინსვლას, რადგან რეგიონში ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში დავით ტყეშეაშვილი საქართველოში მიმდინარე ყველა პროექტს გაეცნობა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მონიტორინგის პროგრამა მცხეთა-მთიანეთიდან და შიდა ქართლიდან დაიწყო. ქუთაისის შემდეგ დავით ტყეშელაშვილი ფოთში ჩავა, რის შემდეგაც სამეგრელოს ეწვევა.

მედიანიუსი

# ეუთო საქართველოში დელეგაციას აგზავნის

ნათია ხურცილავა

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი საქართველოში წინასაარჩევნო გარემოს შეფასების მიზნით დელეგაციას აგზავნის. როგორც ნინო კალანდაძემ განაცხადა, დელეგაცია საქართველოში 11 ივნისს ჩამოვა და 16 ივნისამდე დარჩება. კალანდაძის განცხადებით, დელეგაცია შეაფასებს წინასაარჩევნო გარემოს და მოსამზადებელ სამუშაოებს დააკვირდება.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წარმომადგენლები შეხვედრებს გამართავენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ასევე პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. როგორც ნინო კალანდაძემ აღნიშნა, ამის შემდეგ დელეგაცია დასკვნას წარუდგენს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს. ორგანიზაციის დელეგაცია საქართველოში უკვე არჩევნების დღეს ჩამოვა.

ნინო კალანდაძემ ჟენევის ფორმატთან დაკავშირებითაც გააკეთა განცხადება. მისი თქმით ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის დელეგაციის შემადგენლობის გადახედვა არ იგეგმება. აღნიშნული განცხადება ვლადიმერ სანაკოევის განცხადების კომენტირებისას გააკეთა კალანდაძემ. მინისტრის მოადგილის თქმით, ქართული მხარე მზად არის, ნებისმიერი მხარე თუ ექსპერტი ჩართოს ჟენევის ფორმატში. თუმცა, კალანდაძის განმარტებით, ამ დროისთვის ჟენევის მოლაპარაკებებში დროებითი ადმინისტრაციიდან ორი ოფიციალური წარმომადგენელი მონაწილეობს – დიმიტრი სანაკოევი და ალა ფარასტაევი და უახლოეს მომავალში რაიმე ცვლილებები არ იგეგმება.

მოძრაობა „კოკოითი ფანდარასტის“ ყოფილი ხელმძღვანელის, ვლადიმერ სანაკოევის განცხადებით, მას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა შესთავაზა ჟენევის მოლაპარაკებებში დამოუკიდებელ ექსპერტად ჩართულიყო. ვლადიმერ სანაკოევის თქმით, დიმიტრი სანაკოევმა მას აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ტერმინ „ოკუპირებული ტერიტორიების“ დასაბუთება სთხოვა. „კოკოითი ფანდარასტის“ ყოფილი ხელმძღვანელი საქართველოდან რუსეთში 2011 წლის იანვარში გაიქცა და განაცხადა, რომ საქართველოში ცხოვრებისას რუსული სპეცსამსახურების დავალებას ასრულებდა. კალანდაძე იმედს გამოთქვამს, რომ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფორმატი ჩვეულ რეჟიმში აღდგება.



როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, მოსკოვმა დე-ფაქტო ხელისუფლებასთან ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტა, რომ ეს ფორმატი აღარ არსებობდეს.

– ჩვენ ყველა დაინტერესებულ და ჩართულ საერთაშორისო ორგანიზაციას მივმართავთ თხოვნით და იმედს ვიტოვებთ, რომ ეს მექანიზმი იმავე ფორმით გააგრძელებს მუშაობას, როგორც აქამდე იყო, – განაცხადა ნინო კალანდაძემ. საქართველო რამდენიმე ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლისთავს აღნიშნავს.

მიმდინარე კვირას ნინო კალანდაძე ოფიციალური ვიზიტით ავსტრიასა და გერმანიას ეწვევა.

კალანდაძე შეხვედრას თავის უცხოელ კოლეგებთან გამართავს.

– გერმანიაში ჩემი ვიზიტი არის ასევე საპასუხო გუიდო ვესტერველეს ვიზიტის. მთელი რიგი საკითხები დაისვა გერმანიასთან თანამშრომლობაში, ამდენად, ჩემი შეხვედრა იქნება როგორც ჩემს გერმანელ კოლეგასთან, ასევე გერმანიის კანცლერის ფედერალური სამსახურის სახელმწიფო მინისტრთან და ბუნდესტაგის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის საგარეო სპიკერთან, – განაცხადა კალანდაძემ. მისივე თქმით, შეხვედრაზე ის გერმანულ მხარეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ მიაწოდებს ინფორმაციას.

ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე 2 მაისს ორდღიანი ვიზიტით საქართველოს ეწვევა. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა სამინისტროში.

– ჩვენ ვცდილობთ, რომ ესპანეთთან ორმხრივი მჭიდრო ურთიერთობები გვქონდეს, მათ შორის, საპარლამენტო ურთიერთობები გაღრმავდეს და სწორედ ამ ურთიერთობის ფარგლებშია ეს ვიზიტი გათვალისწინებული, – განაცხადა კალანდაძემ. საგარეო უწყება კანადაში დაკარგული სამი ქართველის შესახებ დამატებით ინფორმაციას არ ფლობს.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ აღნიშნა, საგარეო უწყება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია ამ საკითხში. მისი თქმით, საელჩო აქტიურად მონაწილეობდა ოჯახის წევრებისა და კანადის სახელმწიფოს წარმომადგენლების დაკავშირებაში.

– რაც შეეხება გარდაცვლილის გადმოსვენების საკითხებს, ამასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას არ ვფლობთ. აქ სახელმწიფოს როლი და შესაძლებლობები იზღუდება. ტექნიკური საკითხების მოგვარებაში კანადის ტერიტორიაზე ოჯახს საკონსულო დაეხმარება, – განაცხადა კალანდაძემ.

კანადასთან, 27 მარტს, იახტის ჩაძირვის შედეგად საქართველოს მოქალაქე თენგიზ მოწონელიძე დაიღუპა. არსებული ინფორმაციით, დაკარგულები არიან ხაშურში მცხოვრები 35 წლის გოჩა გოთონელია და 36 წლის ზაზა ლაცაბიძე, ასევე, თბილისელი, 32 წლის ნიკოლოზ თიგიშვილი.

# საქართველოს ლიტვის მხარდაჭერის იმედი აქვს

ნათია ხურცილავა

ლიტვა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყნის სწრაფვას ნატო-სა და ევროკავშირისკენ, – ამის შესახებ საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ლიტვის პრემიერ-მინისტრმა ანდრიუს კუბილიუსმა თავის ქართველ კოლეგა ნიკა გილაურთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, საქართველო ყველაზე კარგად არის მომზადებული, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით შემდგომი ნაბიჯები გადადგას. კუბილიუსის განცხადებით, 2013 წლის მეორე ნახევარში ლიტვა ხდება ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა და ამ პერიოდში შესაძლოა, უკვე დასრულდეს საქართველო–ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები უვიზო მიმოსვლაზე, თავისუფალ ვაჭრობასა და ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე. როგორც ლიტვის პრემიერმა აღნიშნა, საქართველოში ჩამოვიდნენ იმისთვის, რომ გაეცნონ იმ წარმატებულ რეფორმებს, რომელიც ქვეყანაში ხორციელდება – საუკეთესო ბიზნესგარემო, კორუფციის აღმოფხვრა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა კი განაცხადა, რომ ლიტვა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია და მისი მხარდაჭერა საქართველოს ნატო-სთან და ევროკავშირთან ურთიერთობაში კარგად ჩანს.



– მე ვისურვებდი, რომ ასევე გაღრმავდეს კერძო სექტორს შორის ურთიერთობები და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, – განაცხადა გილაურმა. ლიტვის პრემიერ-მინისტრი ანდრიუს კუბილიუსი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ადგილობრივ ხელისუფლებათა ლიტვურ-ქართული ფორუმი მიმდინარეობს.

ფორუმი საქართველოსა და ლიტვის პრემიერ-მინისტრებმა ნიკა გილაურმა და ანდრიუს კუბილიუსმა გახსნეს. „მუნიციპალიტეტების დონეზე შეხვედრა პირველად ხდება. ეს არის უნიკალური შემთხვევა, რომელიც მომავალში დამკვიდრდება, – აღნიშნა ნიკა გილაურმა. საქართველოს პრემიერმა ისაუბრა იმ ეტაპებზე, რომელიც ლიტვამ პოსტსაბჭოთა სივრციდან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსამდე გაიარა. გილაურის თქმით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, გაიზიაროს ლიტვის გამოცდილება ევროკავშირის სტრუქტურებთან მოლაპარაკებების კუთხით.

– ჩვენი მხრივ კი, მათ გავუზიარებთ კორუფციის დაძლევის გამოცდილებას, – დასძინა საქართველოს პრემიერმა. გილაურის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ ლიტვა საქართველოსთვის იყოს არა მარტო პოლიტიკური მეგობარი, არამედ მოხდეს დაინტერესება ტურიზმისა და ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით.

ანდრიუს კუბილიუსმა გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ქვეყნის ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით. მისი თქმით, მომავალი წლის მეორე ნახევარში, როცა ლიტვა გახდება ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა, მათთვის პრიორიტეტული იქნება საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის, ასევე ვიზის საკითხები.

– მსოფლიო ბანკის მონაცემებით, თქვენ წინ ხართ ვაჭრობის თვალსაზრისით და ჩვენ აუცილებლად გავიზიარებთ ამ გამოცდილებას, – აღნიშნა ლიტვის პრემიერ-მინისტრმა. ფორუმის ფარგლებში ასევე გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც საქართველოსა და ლიტვის ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტებმა მოაწერეს ხელი.

გარდა ამისა, შეხვედრის განმავლობაში განხილული იქნება ლიტვა-საქართველოს თანამშრომლობა; ადგილობრივი მმართველობის რეფორმა საქართველოში, რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება, ადგილობრივი მმართველობის რეფორმა საქართველოში და რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება ორივე ქვეყანაში. ასევე ფორუმის ფარგლებში გაიმართება ჭიათურისა და ლიტვურ მუნიციპალიტეტებს შორის დაძმობილების ცერემონიალი. საქართველოს ვიცე პრემიერ-მინისტრი გიორგი ბარამიძე იმედს გამოთქვამს, რომ ჩიკაგოსა და შემდეგ სამიტზე საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად კონკრეტული პროგრესი იქნება მიღწეული.

ამის შესახებ ბარამიძემ საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და ლიტვის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის აპარატს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. – ლიტვა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია ნატო-ში გაწევრიანების გზაზე. 2013 წლის მეორე ნახევარში ლიტვა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა იქნება. იმედი გვაქვს, ამ პერიოდისთვის ვიზის ლიბერალიზაციის, ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები, რომელიც წელს დავიწყეთ, დასასრულს მიუახლოვდება. ასე რომ, ლიტვასთან თანამშრომლობა ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. რაც შეეხება ნატო-ს, ლიტვა ძალიან აქტიურად მუშაობს, რომ საქართველოს მეგობართა ჯგუფი გაფართოვდეს და საქართველოს მხარდამჭერი პოზიცია კიდევ უფრო გაძლიერდეს ჩიკაგოს სამიტზე და შემდგომ სამიტებზე საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად კონკრეტული პროგრესი იქნას მიღწეული – განაცხადა ბარამიძემ.

გუშინ მთავრობის სხდომაც გაიმართა. მთავრობის სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ სადაზღვევო სისტემის ახალი ვარიანტი ამოქმედდება. სადაზღვევო სისტემის ახალი ვარიანტი მთავრობის სხდომაზე დაამტკიცეს. ახალი ვარიანტი 1-ელი სექტემბრიდან პენსიონერებისა და 0-დან 5 წლამდე ბავშვების დაზღვევას ითვალისწინებს.

– ეს სისტემა განსაზღვრავს, როგორი პაკეტი იქნება წარმოდგენილი, როგორი განფასება ექნება ამ პაკეტს, როგორი წესები გვექნება ამ სადაზღვევო პაკეტების სადაზღვევო კომპანიებზე დარიგებისა და გადანაწილების მხრივ, ასევე განისაზღვრება, თბილისში აუქციონის რა წესები იქნება და რეგიონები როგორ გადანაწილდება სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიებზე, – განაცხადა ნიკა გილაურმა. მთავრობის სხდომაზე დამტკიცდება ასევე ჯანდაცვის სექტორში თამაშის ახალი წესები.

პრემიერ-მინისტრის, ნიკა გილაურის განცხადებით, აქამდე საკმაოდ რთული სიტუაცია იყო ამ მხრივ, რადგან არ იყო განსაზღვრული პაციენტს, საავადმყოფოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის ურთიერთობები.

გილაურის განცხადებით, ამ თამაშის წესებით მთავრობა საზოგადოებას სთავაზობს კონკრეტულ გამჭვირვალე თამაშის წესებს.

– ახალი თამაშის წესების შესახებ აბსოლუტურად ყველას ეცოდინება და ეს იქნება მორგებული პაციენტზე, რომ პაციენტის უფლებები არ იყოს დარღვეული. თუ რაიმე პრობლემა იქნება პაციენტსა და სადაზღვევო კომპანიას შორის, ასევე პაციენტსა და კლინიკას შორის, კლინიკასა და სადაზღვევო კომპანიას შორის, ამ ყველა პრობლემას გარკვეულწილად ეს თამაშის წესები მოაგვარებს, – განაცხადა ნიკა გილაურმა.

## ამერიკული კომპანია ხულოში კარტოფილის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოს ამოქმედებას გეგმავს

ამერიკული კომპანი წარმომადგენლებმა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ანზორ ბოლქვაძესთან შეხვედრაზე აჭარის აგროსასურსათო სექტორში ინვესტირების სურვილი გამოთქვეს.

ისინი ხულოში კარტოფილის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოს ამოქმედებას გეგმავენ, რომელიც კარტოფილს ადგილობრივი მოსახლეობისგან ჩაიბარებს. ასევე, კომპანიას ქობულეთში ბოსტნეულის სასათბურე მეურნეობის მოწყობა სურს.

ანზორ ბოლქვაძემ სტუმრებს აჭარაში არსებული საინვესტიციო გარემო გააცნო. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლება მიესალმება ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლას, რაც ადგილობრივი წარმოების განვითარებასა და სამუშაო ადგილების მატებას განაპირობებს.

ნიუსპრესი

## მონღოლეთის დელეგაციის წევრები ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს შეხვდნენ

საქართველოში ვიზიტით მყოფი მონღოლეთის დელეგაციის წევრები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს ირაკლი ნადარეიშვილს შეხვდნენ.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა შეხვედრაზე საპენსიო სისტემის, სოციალური და ჯანდაცვის საკითხები განიხილეს. დელეგაციის წევრებს კოლეგებმა საქართველოში განხორციელებული რეფორმებიც გააცნეს.

„მნიშვნელოვანია კოლეგებს ჩვენი გამოცდილება და გეგმები გავუზიაროთ და მათი აზრიც მოვისმინოთ“ – განაცხადა ირაკლი ნადარეიშვილმა.

ნიუსპრესი

## იურიდიულ საკითხთა კომიტეტია საკონსტიტუციო ცვლილებებს 4 მაისისთვის განიხილავს

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი საკონსტიტუციო ცვლილებებს 4 მაისს განიხილავს. ეს განცხადება ჟურნალისტებთან საუბრისას კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა გააკეთა.



მისი თქმით, მანამდე, 1 მაისს, საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე საყოველთაოსახალხო განხილვის კომისია კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს ზუგდიდისა და ბათუმის მოსახლეობას გააცნობს. 2 მაისისათვის კი კომისიის სხდომის ახალციხეში გამართვა და ცვლილებების ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაცნობა იგეგმება.

ლაპარაკია საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომელთა თანახმადაც, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში კენჭისყრა 21 წლის ასაკიდან იქნება შესაძლებელი. არჩევნებში მონაწილეობის უფლება კი ევროკავშირის წევრი ქვეყნების იმ მოქალაქეებს ეძლევათ, რომლებიც საქართველოში არიან დაბადებული და აქ 10 წელი მაინც უცხოვრიათ.

პარლამენტი აღნიშნული ცვლილებების სესიის ფორმატში განხილვას მომავალი სასესიო კვირიდან დაიწყებს.

მედიანიუსი

## პრეზიდენტმა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯეო კაპიტალის“ ფილიალი გახსნა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯეო კაპიტალის“ ფილიალი გახსნა.

როგორც ნიუსპრესს ორგანიზაციის პრესსამსახურში განუცხადეს, მიხეილ სააკაშვილი გახსნის ოფიციალურ ცერემონიაზე თავის ვაჟთან ერთად მივიდა.

„ჯეო კაპიტალი“ ამერიკული ინვესტიციით გაიხსნა, მას ირინა სვანაძე ხელმძღვანელობს. მომავალში კომპანია ფილიალებს თბილისში, ზესტაფონში, ფოთსა და ბათუმში გახსნისს. „ჯეო კაპიტალი“ მოსახლეობას სხვადასხვა სახის საკრედიტო მომსახურებას შესთავაზებს.

პრეზიდენტთან ერთად, გახსნის ცერემონიას ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალია, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნესწრეების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ნიუსპრესი

# ნუნუ დულაშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

**კომპოზიტორ ნუნუ დულაშვილს 4 მაისს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მისივე სახელობის ვარსკვლავს გაუხსნიან. ამ საზეიმო ცერემონიალამდე კი დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება კომპოზიტორის შემოქმედების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი.**

– ქალბატონი ნუნუ მოღვაწეობს სასიმღერო ჟანრში და ასევე ის, როგორც პიანისტი, თავისი საშემსრულებლო მანერით ყოველთვის გამორჩეული იყო. მისი მუსიკა ამოზრდილია ქართული ფოლკლორის ფესვებიდან და ისე კი არ ჟღერს, როგორც ციტატები, არამედ იგი საკუთარი, ავტორისეულია. კომპოზიტორი წერს თავის ნაწარმოებებს ძირითადად ქართველი კლასიკოსების ლექსებზე. დაწერილი აქვს საფორტეპიანო, სავიოლინო და საორკესტრო პიესები, საფორტეპიანო კონცერტი, კინომუსიკა ფილმებისთვის და მრავალი სხვა. მიგვაჩნია, რომ ქალბატონი ნუნუ თავისი სიმღერების საუკეთესო ინტერპრეტატორია. აქვს ძლიერი, სასიამოვნო ტემბრის ხმა და შესრულების ორიგინალური მანერა. განსაკუთრებით პოპულარულია მისი სიმღერები: „ქუთაისო“, „იმერეთის ნიავო“, „ღმერთი სიყვარულისა“, „ბათუმი რად ღირს მარტო“, „ჩემი სიმღერა“, „ო, არა გაზაფხულზე“, „კახეთო“, „გადამრიე“, „გამიფრთხილდი“, „სამშობლო“, „გიყვარდეს საქართველო“, „ფიროსმანის ქალაქი“, „თბილისო სიყვარულო“, „ქართულო მიწავ“ და სხვა მრავალი. ქალბატონი ნუნუ არის ხელოვნების და კულტურის უნივერსიტეტისა და მუსიკის გიმნაზიის პედაგოგი, ასწავლის კომპოზიციას. არის ხელოვნების დამსახურებული მოღვა-



წე, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი და თბილისი საპატიო მოქალაქე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქალბატონი ნუნუსთვის მისივე სახელობის ვარსკვლავის გახსნა სწორედაც რომ დროული და საჭიროა, – აცხადებს თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელი ნეკა სებისკვერაძე.

ნუნუ დულაშვილის შემოქმედების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობას ქართული ესტრადის ყველა თაობის ცნობილი წარმომადგენლები მიიღებენ. დიდ საკონცერტო დარბაზში მისული მსმენელისთვის ყველა დროისთვის კარგად ცნობილი სიმღერები კიდევ ერთხელ აჟღერდება.

თუმცა სანამ კომპოზიტორს საიუბილეო კონცერტს გამართავს და დიდი საკონცერტო დარბაზის წინ კუთვნილი ვარსკვლავის მფლობელიც გახდება, ქალბატონ ნუნუს ჯერ საავტორო უფლებების დაცვა სურს. კომპოზიტორმა მისი კუთვნილი საავტორო ჰონორარის გადახდევინების მოთხოვნით საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას უკვე მიმართა. საკითხი ეხება მოლდოვის ქალაქ კიშინიოვში ჩატარებულ მუსიკალურ ფესტივალს „ოქროს ხმა“, რომელზეც ქართველი მომღერლის, ირინა ბაირამაშვილის მიერ სწორედ ნუნუ დულაშვილის მუსიკაზე შექმნილი სიმღერა „კახეთო“ იქნა შესრულებული. მომღერალი მოლდოვაში სპეციალური მიწვევით გაემგზავრა. მას რეპერტუარი ქართველმა პროდიუსერებმა შეურჩიეს. ირინა ბაირამაშვილს ეროვნული სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის სიგელი გადაეცა. ფესტივალის ორგანიზატორების მიერ კი კომოზიტორ ნუნუ დულაშვილისთვის კუთვნილი საავტორო ჰონორარის გადახდა არ მომხდარა. სწორედ ამიტომ კომპოზიტორმა საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას მიმართა და კუთვნილი ჰონორარის მიღება და ამასთანავე საავტორო უფლებების დაცვა მოითხოვა.

– მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები, კონკურსის ორგანიზატორებთან მიმოწერა გვაქვს, იმ ფესტივალის ორგანიზატორს მოლდოვეთის კანონმდებლობით დადგენილი საავტორო ჰონორარის გადახდისთვის მოუწევს იქაურ საავტორო უფლების ორგანიზაციასთან ლიცენზიის გაფორმება და, შესაბამისად, ქალბატონი ნუნუსთვის კუთვნილი ჰონორარის გადახდა, – განაცხადა საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელმა გიგა კობალაძემ.

დავის დარეგულირების მიზნით ასოციაციამ მოლდოვის საავტორო უფლებათა დამცველ ორგანიზაციას მიმართა და მისგან პასუხსაც უახლოეს მომავალში ელოდება. დაწყებულია პროცედურა, რომლის თანახმადაც ფესტივალის ორგანიზატორების მიერ ნუნუ დულაშვილის კუთვნილი საავტორო ჰონორარი იქნება გადახდილი.

– ძალიან ბევრი მაქვს დაკარგული და აქამდე არ მომითხოვია, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? თუ ასე მღერიან, ასე უნდათ გაკეთდნენ ამ სიმღერით, პატივი უნდა მცენ როგორც ავტორს. გამაგებინეთ, ნუთუ არ დავიმსახურე იმდენი, რომ ამ სიმღერის შესრულებისთვის უმაღლესი ჯილდოთი რომ დაბრუნდები, არაფერი უნდა ვიცოდე? – კითხულობს კომპოზიტორი.

# ქართველი მხატვრების ნამუშევრები ბრისტოლში გამოიფინება

ეკა ირემაშვილი

პირველ მაისს ქალაქ ბრისტოლში მოეწყობა 7 ქართველი მხატვრის გამოფენა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი.

დიდ ბრიტანეთში ქართველ მხატვართა ექსპოზიციაზე ძირითადად 90-იანელები ნამუშევრები იქნება გამოფენილი, რომელიც მიეძღვნება ორი ქალაქის – თბილისისა და ბრისტოლის დაძმობილების 24 წლისთავს.

ბრიტანელი დამთვალიერებლის წინაშე საკუთარ ნამუშევრებს გამოფენენ ოლეგ ტიმჩენკო, თინა ცხადაძე-რატიანი, ლევან ხარანაული, დავით ალექსიძე, კოტე სულაბერიძე, მიხო ქოჩაკიძე და მიშა გოგრიჭიანი.

შვიდი ქართველი მხატვრის გამოფენას ერთი კვირის მანძილზე უმასპინძლებს ბრისტოლის მთავარი მუზეუმის საგამოფენო სივრცე, წარმოდგენილი იქნება თითოეული მხატვრის 3 ნამუშევარი, სულ 21 ტილო. გამოფენაზე მიწვეული იქნებიან ბრისტოლის მერიის წარმომადგენლები და მათი სტუმრები, ასევე მასმედიის, ქართული დიასპორის და საელჩოს წარმომადგენლები.

# ნიკოლოზ რურუა სამეგრელოს ესტუმრა

ეკა ირემაშვილი

აჭარის, კახეთის და იმერეთის შემდეგ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა დაგეგმილი ვიზიტით ახლა უკვე სამეგრელოს ესტუმრა. კულტურის მინისტრი სამეგრელოში თავის მოადგილესთან დავით ქირიასთან, სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორთან სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გურამ მისაბიშვილთან და გუბერნიის მაჟორიტარ დეპუტატთან რაულ ჯანაშიასთან ერთად ჩავიდა. ამჯერად ნიკოლოზ რურუა მარტვილს ესტუმრა და რამდენიმე ღონისძიება ჩაატარა.

მინისტრმა მარტვილის სამუსიკო სკოლას პიანინო და ხალხური ინსტრუმენტები – ჩონგური, ფანდური და სალამურები გადასცა. ნიკოლოზ რურუამ კულტურის სახლში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები პირადად დაათვალიერა და საგანგებოდ კულტურის სახლისთვის შეძენილი საკონცერტო გახმოვანების აპარატურა ჩაიტანა.

ნიკოლოზ რურუას არც მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დავიწყებია. მუზეუმში სტუმრობისას მინისტრმა მის ხელმძღვანელობას საჭირო კომპიუტერული ტექნიკა გადასცა. დარბაზშივე შედგა შეხვედრა კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან. საქართველოს რეგიონებში ვიზიტისას კულტურის მინისტრი ყოველთვის აჯილდოვებს დამსახურებულ პედაგოგებს, ამიტომ ტრადიცია არც მარტვილში დაირღვა – ნიკოლოზ რურუამ ერთ-ერთ პედაგოგს „დამსახურებული პედაგოგის“ წოდება მიანიჭა.

კულტურის მინისტრის ვიზიტი სამეგრელოში მარტვილის სამონასტრო კომპლექსში დასრულდა, სადაც დელეგაციამ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2010 წელს აღდგენილი მარანი დაათვალიერა.

– ჩვენ კახეთის, იმერეთისა და აჭარის შემდეგ დავგეგმეთ ვიზიტი მარტვილში, სადაც მოვინახულეთ სამუსიკო სკოლა და გადავეცით პიანინო და ხალხური ინსტრუმენტები – ერთი ჩონგური, ხუთი ფანდური და ორი სალამური. ჩვენი ვიზიტის ფარგლებში გაერთიანდა კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოების დათვალიერება, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის კომპიუტერული ტექნიკის გადაცემა, მარტვილის კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრა, ერთი პედაგოგისათვის ,,დამსახურებული პედაგოგის“ წოდების მინიჭება და კულტურის სახლისთვის საკონცერტო გახმოვანების აპარატურის გადაცემა. ვიზიტის ბოლოს გადავწყვიტეთ მარტვილის სამონასტრო კომპლექსიც დაგვეთვალიერებინა. ეს მხოლოდ დასაწყისია და გვინდა, რომ ეტაპობრივად საქართველოს ყველა კუთხე მოვიაროთ, კულტურული დაწესებულებების პრობლემებს გავეცნოთ და მათი გადაჭრის საკითხები ერთობლივად დავსახოთ, – განაცხადა კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

პ.ს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის წინ მსახიობებს ამირან ქადეიშვილს, გაბრიელ მდინარაძეს და რე-



ჟისორ ვასილ ჩიგოგიძეს ვარსკვლავები გაუხსნეს. ეს გადაწყვეტილება კულტურის სამინისტრომ ქართული თეატრისა და ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში მათ მიერ შეტანილი განსაკუთრებული წვლილის გამო მიიღო. ოზურგეთის თეატრის წინ სამი ვარსკვლავი საზეიმო ვითარებაში ერთდროულად და, რა თქმა უნდა, ქართული „მრავალჟამიერის“ თანხლებით გაიხსნა.

– ისეთ ემოციაში ვარ, იმდენი კარგი რაღაც ხდება ჩემ გარშემო, არც კი ვიცი, ეს ყველაფერი რას მივაწერო. ჯერ კიდევ ვერ გამიცნობიერებია, რა ხდება. ჩემი მთელი 40 წლის სცენაზე ნაღვაწის რეზიუმე ვუწოდო თუ მონაპოვარი, არც ეს ვიცი. ეს არის ჩემი უდიდესი სიხარული, სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ. ყველას დიდი მადლობა, – აღნიშნა ვარსკვლავის გახსნისას მსახიობმა ამირან ქადეიშვილმა.

ვარსკვლავების გახსნამდე თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იყო ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით დადგმული ვასილ ჩიგოგიძის სპექტაკლი „გამარჯობა ხალხო“. ცნობილი გახდა ისიც, რომ ოზურგეთის თეატრი მალე ამ სპექტაკლით საგასტროლოდ ლიტვაში გაემგზავრება.

– ვგრძნობ სიყვარულს, ვგრძნობ სიხარულს, ვგრძნობ ამ გაწეული გზის, ამ ტრადიციის, რაც ოზურგეთის თეატრს ჰქონდა, დაფასებას, იმ ისტორიის ღირსეულ დაფასებას და ნამდვილად ვთვლი, რომ ეს ვარსკვლავები იმ ადამიანებისაა, ვინც მართლა გამზარდა და ვინც წლების განმავლობაში მართლა მხარში მედგა, – განაცხადა რეჟისორმა ვასილ ჩიგოგიძემ.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ. ფასი 40.000 აშშ დოლარი. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონია

ჩელიაბინსკის თავზე, ქართული, ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებს. რუსეთის ქალაქში ჩატარებულ ევროპის გუნდური ჩემპიონატის ფინალში პიტერ ზაიზენბახერის გუნდმა ფინალში მასპინძელთა ნაკრები დაამარცხა.

ტურნირში კონტინენტის რვა გამორჩეული გუნდი ჩაერთო. გუნდური პირველობა 5 წონით კატეგორიაში ტარდება და ჩვენებს მეოთხედფინალში მეტოქედ თურქეთი ერგო და შეხვედრა 5:0 დასრულდა. ქულები ლაშა შავდათუაშვილმა (66 კგ), ზებედა რეხვიაშვილმა (73 კგ), ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ), ზურაბ ზვიადაურმა (90 კგ) და ზვიად ხანჯალიაშვილმა (+90 კგ) აიღეს.

ნახევარფინალში, საფრანგეთის წინააღმდეგ საბრძოლველად პიტერ ზაიზენბახერმა შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა. რეხვიაშვილი ნუგზარ ტატალაშვილით ჩაანაცვლა,



ზვიადაური – ვარლამ ლიპარტელიანით, ხოლო ხანჯალიაშვილი – ადამ ოქრუაშვილით. სამივე სიახლემ გაამართლა. ტატალაშვილმა ჟილ აჯობა, ლიპარტელიანმა ივ მეთიუ დაფრევილი დააიპონა, ხოლო ოქრუაშვილმა კირილ მარეს მოუგო. შავდათუაშვილი დიმიტრი დრაგინთან მტკივნეულ ილეთზე მოჰყვა, ჭრიკიშვილმა კი ლუის პიეტრისთან წააგო. რუსებმა კი ფინალამდე ბრიტანელები და პოლონელები ჩამოიშორეს.

ფინალში შავდათუაშვილი შალვა ქარდავამ შეცვალა, მაგრამ გამოცდილ მუსა მოგუშკოვთან ვერაფერს გახდა და მასპინძლები 1:0 დაწინაურდნენ. ნუგზარ ტატალაშვილმა ბათრაზ კაიტმაზოვთან მოგებით ანგარიში გაათანაბრა. ჭრიკიშვილმა არსენ პშმახოვს შეხვედრის ბოლო წუთზე იუკოთი აართვა. ქართულმა გუნდმა ჩემპიონის ტიტული 90-კილოგრამიანთა დაპირისპირებაში მოიპოვა. ლიპარტელიანმა ჩელიაბინსკის დარბაზში შეკრებილ მაყურებლებს მორიგი ეფექტური იპონი ანახა, რითაც ადამ ოქრუაშვილისა და მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონ ალექსანდრ მიხაილინის დაპირისპირებას აზრი დაუკარგა. შეხვედრა რუსმა ვარსკვლავმა შებოჭვით მოიგო. ევროპის გუნდური პირველობა კი საქართველოს ჰიმნით დაგვირგვინდა.

# ლეგიონერებმა ქართველი ვარსკვლავები ჩააქრეს

ადგილობრივი – ლეგიონერები 125:137

(35:31, 36:37, 17:39, 37:30)

ადგილობრივი: გამყრელიძე, ცინცაძე (17), სანაძე (18ქ,8მ), გ.ბარბაქაძე (29), მათიაშვილი (9); დვალიშვილი (2), ფარღალავა (5ქ,9პ), ფაცაცია (6), საყვარელიძე (18), ბოქოლიშვილი (9), ჩიკვილაძე (4), ბექაური (8ქ,9მ)

ლეგიონერები: ვუდსაიდი, ბლერი (31ქ,9პ,8მ), რიჩარდსონი (11), ტომასი (12), შელბომი (13); მუდი (16), ილიჩი (3), სლიუკა (8), ტაბსი (18), ჰოგერი (4), კარტერი (15), ოლუიჩი (6ქ,10მ)

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში ძალიან ბევრი ლეგიონერი ჩამოვიდა სათამაშოდ. იმდენად ბევრი, რომ პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს „ოლ სტარების“ ისტორიაში, შესაძლებელი გახდა ლეგიონერთა გუნდის გამოყვანა.

თბილისის სპორტის სასახლეში გამართული „ყველა ვარსკვლავის მატჩი“, რომელშიც ადგილობრივი კალათბურთელებისა და ლეგიონერებისაგან დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობდნენ, ლეგიონერთა გამარჯვებით – 137:125 დასრულდა. თუმცა, ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ შედეგი კანონზომიერი იყო – ლეგიონერებმა აშკარად დაჩაგრეს ჩვენი ვარსკვლავები. „ოლ სტარის“ მონაწილე კალათბურთელებმა რამდენიმე ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ეფექტური ჩატენვით დაასრულეს. მათ შორის განსაკუთრებით ბლერი-ტაბსის წყვილი გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ქართველ კალათბურთელებზე, რომლებიც შოუს ნაცვლად უფრო სამქულიან სროლებს ეტანებოდნენ.

„ოლ სტარის“ საუკეთესო კალათბურთელად ლეგიონერთა და „შსს აკადემიას“ ამერიკელი კალათბურთელი ლარი ბლერი დაასახელეს, რომელმაც 23 წუთში ყველაზე მეტი – 31 ქულა დააგროვა და სამმაგ დუბლამდე ერთი პასი და 2 მოხსნა დააკლდა.

ჩატენვების კონკურსი ბლერის თანაგუნდელმა და თანამემამულემ ჯასტინ ტაბსიმ მოიგო, ხოლო სამქულიანების შეჯიბრში „ოლიმპის“ ხორვატმა უკანახაზელმა ნიკიცა სლიუკამ გაიმარჯვა.

სუპერლიგის რჩეული კალათბურთელებისაგან დაკომპლექტებული გუნდების შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. პირველი ტაიმი ქართველების გუნდმა 3 ქულის სხვაობით მოიგო – 71:68.

მატჩის ბედი მე-3 მეოთხედში გადაწყდა. ლეგიონერებმა დროის ეს მონაკვეთი 22 ქულის სხვაობით – 39:17 მოიგეს. მართალია, დარჩენილ დროში ქართველთა გუნდი ეცადა თამაშის შემოტრიალებას, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია და მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირებით დაკმაყოფილდა.

ქართველების გუნდიდან, ყველაზე მეტი, 29 ქულა „ქუთაისის“ ფორვარდმა გიგი ბარბაქაძემ დააგროვა, რომელმაც 8 შესაძლებლობიდან 7 სამქულიანი ჩააგდო.

როგორც უკვე გითხარით, აღ-



ნიშნული მატჩის პარალელურად, სამქულიანებისა და ჩატენვების კონკურსი ჩატარდა. ჩატენვების კონკურსის მონაწილეები, მათი სურვილის მიხედვით, ხოლო სამქულიანების კონკურსის მონაწილეები რეგულარულ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგის მიხედვით აარჩიეს.

სამქულიანების კონკურსში, ვახტანგ ჩქარეული (თსუ), მიხეილ ბერიშვილი („ოლიმპი“), ლარი ბლერი, ბენჯამინ ვუდსაიდი, ნიკიჩა სლიუკა და გიორგი ბარბაქაძე მონაწილეობდნენ. ფინალში ასპარეზობის უფლება ვუდსაიდმა (20 ქულა) და სლიუკამ (19) მოიპოვეს. ფინალში ვუდსაიდმა მხოლოდ 12 ქულა დააგროვა, ხოლო სლიუკამ წინა მიღწევა ერთი ქულით გააუმჯობესა და პირველ ადგილზე გავიდა.

ჩატენვების კონკურსში, გრიგოლ შვანგირაძემ (თსსუ), ილიცა მილუტინოვიჩმა („ოლიმპი“), დავით ხიზანიშვილმა (თსუ) და ჯასტინ ტაბსიმ გამოთქვეს მონაწილების სურვილი. კონკურსის ჟიურიში ვეტერანი ქართველი კალათბურთელები ნიკოლოზ დერიუგინი, გივი ბიჭიაშვილი და ნოდარ ქორქია ისხდნენ. ფინალში ასპარეზობის უფლება მილუტინოვიჩმა და ტაბსიმ მოიპოვეს. პირველი ადგილი ტაბსის ერგო, რომელმაც ჟიურის სამივე წევრისგან უმაღლესი, 10-ბალიანი შეფასება მიიღო.

სპორტის სასახლეში 2 დიდი ეკრანი იყო დამონტაჟებული, რომელზეც მატჩის საუკეთესო და ქართული კალათბურთის ისტორიის ამსახველ თვალსაჩინო მომენტებს აჩვენებდნენ.

წლეულს ნახევარი საუკუნე სრულდება იმ უმნიშვნელოვანესი წარმატების მიღწევის დღიდან, როდესაც თბილისის „დინამომ“, ჩემპიონთა თასის ფინალში, მადრიდის „რეალს“ მოუგო და მთავარი პრიზის მფლობელი გახდა. სამწუხაროდ, ამ მატჩის მონაწილე კალათბურთელებიდან მხოლოდ 4 – გურამ მინაშვილი, ამირან სხიერელი, ილარიონ ხაზარაძე და ლევან მოსეშვილია ცოცხალი. ამ უკანასკნელმა, ავადმყოფობის გამო, ღონისძიებაზე მოსვლა ვერ შეძლო. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ხაზარაძეს, სხიერელსა და მოსეშვილს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა – მინაშვილს ეს წოდება უკვე ჰქონდა. ანალოგიური ჯილდო გადაეცა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელ ნიკოლოზ დერიუგინს, რომელსაც დაბადებიდან 53 წელი შეუსრულდა.

# ჩიხურამ უმაღლესისკენ გაიხედა

**სიონი – დინამო (ბ) 1:0**

**ბოლნისი.** თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი

1:0 მეტრეველი (10)

**სიონი:** ბობლიაშვილი, კობაური, ქემოკლიძე (გ.ოქროპირიძე 17), სვანიძე, ჩიკვილაძე, ჯოჯუა, დ.ბოლქვაძე, ქუცურუა, ჭანკოტაძე (ნემსაძე 73), უგულავა (გ.რეხვიაშვილი 33), მეტრეველი

**დინამო:** ალავიძე, ქორიძე, ლობჟანიძე, კაჭკაჭიშვილი, გოგიტიძე, რამიშვილი (მაკარიანი 50), ცანავა (ჯორბენაძე 64), დიასამიძე (მამეიშვილი 78), ბერიძე, ნასუაშვილი, ბაციკაძე

ამ მატჩს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სატურნირო ცხრილში ერთმანეს მეზობლად იმყოფებოდნენ და თანაც იმ ადგილებზე, რომლებიც ელიტაში დარჩენის ზღვარზეა. თამაშის ბედი კი ერთადერთმა და მართლაც ლამაზმა გოლმა გადაწყვიტა – მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული დაბალი ტრაექტორიის ბურთი დავით ბოლქვაძემ, ქუსლით, ერთი შეხებით გადააწოდა გიორგი ჭანკოტაძეს, რომელმაც მეკარის ბაქანთან გააკეთა პასი და ზვიად მეტრეველმა ასევე ქუსლით გაიტანა.

**სპარტაკი – ვიტ ჯორჯია 1:0**

**თბილისი.** ბენდელას სტადიონი

1:0 მელქაძე (7)

**სპარტაკი:** ნადირაძე, ლოლაძე, ტეტუნაშვილი, ლომაია, მაისურაძე, შარაშენიძე (ჭოხონელიძე 73), შონია, ჩივაძე (გელაშვილი 88), სამხარაძე, ჩაფიძე (გაბაშვილი 80), მელქაძე

ვიტ ჯორჯია: დაუშვილი, ხურცილავა, გოგიაშვილი, კასრაძე, ლანიაშვილი, დავლაშელიძე (ლობჟანიძე 71), ვასაძე, გურეშიძე, ჯანელიძე, კორიფაძე (ვაშაკიძე 75), ჩიმაკაძე (კუხალეიშვილი 88)

მატჩის ერთადერთი გოლი თამაშის დასაწყისშივე გავიდა – ლაშა ჩაფიძემ საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ვეტერინარებმა ბურთი უხეიროდ მოიგერიეს, რითაც გამოცდილმა ლევან მელქაძემ ისარგებლა და თავისი გუნდს 3 ქულა მოუტანა.

**გაგრა – გურია 1:1**

0:1 თოდუა (68), 1:1 კიკნაველიძე (86)

83-ე წუთზე თოდუამ პენალტი ვერ გამოიყენა (მეკარე)

**გაგრა:** ბეგაშვილი, ჯგერენაია, ხუციძე, კობერიძე, კვანტალიანი, ჭკუასელი (ყიფიანი 63), ნ.ჯიშკარიანი (კიკნაველიძე 44), ხოჯაშვილი, ყურულაშვილი, ლ.სეთურიძე (ჯერემია 46), სარდალიშვილი

**გურია:** ბუბუტეიშვილი, ჩუენსუ, რ.ონიანი, ბაქრაძე, ჯანგიძე, მოსიაშვილი (ზ.ჩხეტიანი 81), მაისაშვილი, კუკულაძე (კილაძე, 90), სამსეიშვილი (ალავერდაშვილი 84), გ.თოდუა, ჩარგეიშვილი

ლანჩხუთლებმა ანგარიში მეკარე გიორგი ბეგაშვილის უხეში შეცდომის წყალობით გახსნეს და გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ. მით უფრო, რომ მალევე პენალტის უფლებაც მიიღეს, რომელიც გია თოდუას ბეგაშვილმა აუღო და თავისი შეცდომა გამოასწორა.

86-ე წუთზე, ირაკლი ხუციძემ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა და მოწინააღმდეგის საჯარიმოში მყოფმა ნოდარ კიკნაველიძემ ბურთი მიწაზე დაუშვებლად დაარტყა – 1:1.

**ჩიხურა – მერცხალი 4:0**

აუტსაიდერი ოზურგეთის „მერცხალი“ გათამაშების ლიდერ საჩხერის „ჩიხურას“, კარგა ხანი უძალიანდებოდა, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერი გააწყო. განსაკუთრებით ვერაფერი მოუხერხეს თორნიკე მუმლაძეს, რომელმაც ოთხი ბურთი გაუტანა გურულებს – 4:0.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 9 | 6 | 2 | 1 | 16:7 | 20 |
| 2.გურია | 9 | 5 | 3 | 1 | 16:11 | 18 |
| 3.ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 1 | 3 | 9:6 | 16 |
| 4.სიონი | 9 | 4 | 3 | 2 | 15:8 | 15 |
| 5.დინამო(ბ) | 9 | 3 | 2 | 4 | 6:10 | 11 |
| 6.სპარტაკი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| 7.გაგრა | 9 | 1 | 4 | 4 | 8:10 | 7 |
| 8.მერცხალი | 9 | 0 | 1 | 8 | 2:19 | 1 |

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ქპრ ........ 6:1
ტოტენჰემი-ბლექბერნი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 35 | 26 | 5 | 4 | 86:32 | 83 |
| 2.სიტი | 35 | 25 | 5 | 5 | 87:27 | 80 |
| 3.არსენალი | 36 | 20 | 6 | 10 | 68:44 | 66 |
| 4.ტოტენჰემი | 35 | 18 | 8 | 9 | 59:39 | 62 |
| 5.ნიუკასლი | 35 | 18 | 8 | 9 | 53:46 | 62 |
| 6.ჩელსი | 35 | 17 | 10 | 8 | 62:39 | 61 |
| 7.ევერტონი | 35 | 14 | 9 | 12 | 46:38 | 51 |
| 8.ლივერპული | 35 | 13 | 10 | 12 | 43:37 | 49 |
| 9.ფულემი | 35 | 12 | 10 | 13 | 45:48 | 46 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 36 | 13 | 7 | 16 | 41:47 | 46 |
| 11.სანდერლენდი | 36 | 11 | 12 | 13 | 44:43 | 45 |
| 12.სუონსი | 36 | 11 | 11 | 14 | 43:49 | 45 |
| 13.ნორვიჩი | 36 | 11 | 10 | 15 | 47:63 | 43 |
| 14.სტოკი | 35 | 11 | 10 | 14 | 33:49 | 43 |
| 15.ასტონ ვილა | 36 | 7 | 16 | 13 | 36:50 | 37 |
| 16.უიგანი | 36 | 9 | 10 | 17 | 38:60 | 37 |
| 17.ქპრ | 36 | 9 | 7 | 20 | 40:63 | 34 |
| 18.ბოლტონი | 35 | 10 | 4 | 21 | 41:69 | 34 |
| 19.ბლექბერნი | 36 | 8 | 7 | 21 | 47:75 | 31 |
| 20.ვულვზი | 36 | 5 | 9 | 22 | 38:79 | 24 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რეალი-სევილია ........ 3:0
სარაგოსა-ბილბაო ........ 2:0
მალაგა-ვალენსია ........ 1:0
ბეტისი-ატლეტიკო ........ 2:2
რაიო-ბარსელონა ........ 0:7

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 35 | 29 | 4 | 2 | 112:30 | 91 |
| 2.ბარსელონა | 35 | 26 | 6 | 3 | 104:26 | 84 |
| 3.ვალენსია | 35 | 15 | 10 | 10 | 54:43 | 55 |
| 4.მალაგა | 35 | 16 | 7 | 12 | 51:47 | 55 |
| 5.ლევანტე | 35 | 15 | 7 | 13 | 51:48 | 52 |
| 6.ატლეტიკო | 35 | 13 | 10 | 12 | 49:44 | 49 |
| 7.ბილბაო | 35 | 12 | 12 | 11 | 49:46 | 48 |
| 8.ოსასუნა | 35 | 11 | 15 | 9 | 39:55 | 48 |
| 9.სევილია | 35 | 12 | 10 | 13 | 41:42 | 46 |
| 10.მალიორკა | 35 | 12 | 10 | 13 | 39:42 | 46 |
| 11.ესპანიოლი | 35 | 12 | 9 | 14 | 44:49 | 45 |
| 12.ხეტაფე | 35 | 12 | 9 | 14 | 39:48 | 45 |
| 13.სოსიედადი | 35 | 11 | 10 | 14 | 44:50 | 43 |
| 14.ბეტისი | 35 | 12 | 7 | 16 | 42:51 | 43 |
| 15.რაიო | 35 | 12 | 4 | 19 | 50:67 | 40 |
| 16.გრანადა | 35 | 11 | 6 | 18 | 32:52 | 39 |
| 17.ვილიარეალი | 35 | 8 | 14 | 13 | 36:49 | 38 |
| 18.ხიხონი | 35 | 9 | 7 | 19 | 38:64 | 34 |
| 19.სარაგოსა | 35 | 9 | 7 | 19 | 31:60 | 34 |
| 20.რასინგი | 35 | 4 | 14 | 17 | 24:56 | 26 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ელჩე-ერკულესი ........ 0:3
ხერესი-უელვა ........ 3:1

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ჯენოა ........ 3:2
ატალანტა-ფიორენტინა ........ 2:0
ინტერი-ჩეზენა ........ 2:1
ლეჩე-პარმა ........ 1:2
ნოვარა-იუვენტუსი ........ 0:4
სიენა-მილანი ........ 1:4
უდინეზე-ლაციო ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 35 | 21 | 14 | 0 | 62:18 | 77 |
| 2.მილანი | 35 | 22 | 8 | 5 | 68:28 | 74 |
| 3.ნაპოლი | 35 | 14 | 13 | 8 | 62:43 | 55 |
| 4.უდინეზე | 35 | 15 | 10 | 10 | 47:35 | 55 |
| 5.ინტერი | 35 | 16 | 7 | 12 | 52:47 | 55 |
| 6.ლაციო | 35 | 16 | 7 | 12 | 50:45 | 55 |
| 7.რომა | 35 | 15 | 6 | 14 | 55:50 | 51 |
| 8.კატანია | 35 | 11 | 14 | 10 | 45:47 | 47 |
| 9.პარმა | 35 | 12 | 11 | 12 | 47:52 | 47 |
| 10.ატალანტა | 35 | 13 | 13 | 9 | 40:36 | 46 |
| 11.ბოლონია | 35 | 11 | 12 | 12 | 38:42 | 45 |
| 12.კიევო | 35 | 11 | 11 | 13 | 30:41 | 44 |
| 13.სიენა | 35 | 11 | 10 | 14 | 43:40 | 43 |
| 14.პალერმო | 35 | 11 | 9 | 15 | 48:54 | 42 |
| 15.კალიარი | 35 | 10 | 12 | 13 | 36:42 | 42 |
| 16.ფიორენტინა | 35 | 10 | 11 | 14 | 34:41 | 41 |
| 17.ჯენოა | 35 | 9 | 9 | 17 | 46:66 | 36 |
| 18.ლეჩე | 35 | 8 | 11 | 16 | 39:53 | 35 |
| 19.ნოვარა | 35 | 6 | 10 | 19 | 29:61 | 28 |
| 20.ჩეზენა | 35 | 4 | 10 | 21 | 22:53 | 22 |

*ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

აინტრახტი-მიუნხენ 1860 ........ 0:2
ალემანია-კარლსრუე ........ 1:0
ბოხუმი-ბრაინშვაიგი ........ 2:0
ფიურტი-ფორტუნა ........ 1:1
დინამო-ზ.პაული ........ 1:0
დიუსბურგი-აუე ........ 2:1
ინგოლშტადი-კოტბუსი ........ 1:0
პადერბორნი-ფრანკფურტი ........ 1:0
უნიონი-ჰანზა ........ 5:4

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ვალანსიენი-ნიცა ........ 2:0
ნანსი-კაენი ........ 1:1
ოსერი-ბრესტი ........ 4:0
რენი-აიაჩო ........ 3:1
სენტ ეტიენი-დიჟონი ........ 1:0
სოშო-ბორდო ........ 0:3
ლილი-პსჟ ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონპელიე | 34 | 22 | 6 | 6 | 61:31 | 72 |
| 2.პსჟ | 34 | 19 | 10 | 5 | 64:37 | 67 |
| 3.ლილი | 34 | 18 | 11 | 5 | 64:37 | 65 |
| 4.რენი | 34 | 16 | 9 | 9 | 48:37 | 57 |
| 5.ლიონი | 33 | 17 | 5 | 11 | 52:43 | 56 |
| 6.სტ.ეტიენი | 34 | 16 | 8 | 10 | 45:37 | 56 |
| 7.ტულუზა | 34 | 15 | 8 | 11 | 36:31 | 53 |
| 8.ბორდო | 34 | 12 | 13 | 9 | 43:37 | 49 |
| 9.ევიანი | 33 | 12 | 9 | 12 | 48:47 | 45 |
| 10.ნანსი | 34 | 10 | 12 | 12 | 34:40 | 42 |
| 11.მარსელი | 34 | 10 | 11 | 13 | 41:40 | 41 |
| 12.ვალანსიენი | 34 | 11 | 7 | 16 | 33:40 | 40 |
| 13.ლორიენი | 34 | 9 | 11 | 14 | 34:45 | 38 |
| 14.ნიცა | 34 | 9 | 10 | 15 | 34:41 | 37 |
| 15.კაენი | 34 | 8 | 11 | 15 | 36:50 | 35 |
| 16.დიჟონი | 34 | 9 | 7 | 18 | 37:55 | 34 |
| 17.აიაჩო | 34 | 7 | 13 | 14 | 34:57 | 34 |
| 18.ბრესტი | 34 | 6 | 15 | 13 | 28:37 | 33 |
| 19.სოშო | 34 | 8 | 9 | 17 | 34:57 | 33 |
| 20.ოსერი | 34 | 6 | 13 | 15 | 41:48 | 31 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

როდა-პსვ ........ 1:3
ტვენტე-აიაქსი ........ 1:2
ფეინოორდი-ალკმაარი ........ 1:0
ნაიმეგენი-ვალვაიკი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აიაქსი | 32 | 21 | 7 | 4 | 88:35 | 70 |
| 2.ფეინოორდი | 32 | 19 | 7 | 6 | 63:34 | 64 |
| 3.პსვ | 32 | 19 | 6 | 7 | 79:46 | 63 |
| 4.ალკმაარი | 32 | 18 | 7 | 7 | 62:34 | 61 |
| 5.ჰერენვენი | 32 | 17 | 10 | 5 | 73:53 | 61 |
| 6.ტვენტე | 32 | 17 | 9 | 6 | 77:38 | 60 |
| 7.ვიტესი | 32 | 15 | 7 | 10 | 45:38 | 52 |
| 8.როდა | 32 | 14 | 2 | 16 | 52:62 | 44 |
| 9.ვალვაიკი | 32 | 12 | 6 | 14 | 33:44 | 42 |
| 10.ნაიმეგენი | 32 | 12 | 5 | 15 | 39:43 | 41 |
| 11.ერაკლესი | 32 | 11 | 7 | 14 | 50:56 | 40 |
| 12.უტრეხტი | 32 | 10 | 9 | 13 | 50:55 | 39 |
| 13.გრონინგენი | 32 | 10 | 6 | 16 | 40:59 | 36 |
| 14.ბრედა | 32 | 9 | 7 | 16 | 41:51 | 34 |
| 15.დენ ჰააგი | 32 | 8 | 8 | 16 | 35:57 | 32 |
| 16.ვენლო | 32 | 8 | 4 | 20 | 38:74 | 28 |
| 17.გრააფსხაპი | 32 | 5 | 5 | 22 | 29:69 | 20 |
| 18.ექსელსიორი | 32 | 4 | 6 | 22 | 25:71 | 18 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბეირა მარი-ფერეირა ........ 2:0
სეტუბალი-ნასიონალი ........ 0:3
ლეირია-ფეირენსე ........ 0:4
რიუ ავე-ბენფიკა ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 28 | 21 | 6 | 1 | 62:17 | 69 |
| 2.ბენფიკა | 28 | 19 | 6 | 3 | 62:26 | 63 |
| 3.ბრაგა | 28 | 18 | 5 | 5 | 56:26 | 59 |
| 4.სპორტინგი | 27 | 16 | 5 | 6 | 42:21 | 53 |
| 5.მარიტიმუ | 28 | 14 | 6 | 8 | 40:37 | 48 |
| 6.გიმარაეში | 28 | 13 | 3 | 12 | 36:37 | 42 |
| 7.ნასიონალი | 28 | 11 | 5 | 12 | 42:47 | 38 |
| 8.ოლჰანენსე | 28 | 8 | 11 | 9 | 34:37 | 35 |
| 9.ჟილ ვისენტე | 28 | 7 | 10 | 11 | 27:38 | 31 |
| 10.სეტუბალი | 28 | 8 | 6 | 14 | 23:45 | 30 |
| 11.ბეირა მარი | 28 | 8 | 5 | 15 | 25:35 | 29 |
| 12.ფერეირა | 28 | 8 | 5 | 15 | 32:50 | 29 |
| 13.რიუ ავე | 28 | 7 | 6 | 15 | 29:35 | 27 |
| 14.ფეირენსე | 28 | 5 | 9 | 14 | 25:43 | 24 |
| 15.აკადემიკა | 27 | 5 | 8 | 14 | 23:35 | 23 |
| 16.ლეირია | 28 | 5 | 4 | 19 | 23:52 | 19 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

**1-6 ადგილებისთვის**

სელტიკი-რეინჯერსი ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 35 | 28 | 3 | 4 | 78:20 | 87 |
| 2.რეინჯერსი | 35 | 24 | 4 | 7 | 68:28 | 66 |
| 3.მოზერველი | 35 | 17 | 7 | 11 | 48:42 | 58 |
| 4.დანდი | 35 | 14 | 11 | 10 | 59:45 | 53 |
| 5.სტ.ჯონსონი | 35 | 14 | 8 | 13 | 43:43 | 50 |
| 6.ჰართსი | 35 | 14 | 7 | 14 | 43:37 | 49 |

*რეინჯერსს დაკლებული აქვს 10 ქულა*

**7-12 ადგილებისთვის**

სტ.მირენი-ჰიბერნიანი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7.კილმანროკი | 35 | 10 | 13 | 12 | 41:57 | 43 |
| 8.აბერდინი | 35 | 9 | 12 | 14 | 34:41 | 39 |
| 9.სტ.მირენი | 35 | 8 | 15 | 12 | 37:50 | 39 |
| 10.ინვერნესი | 35 | 8 | 8 | 19 | 39:60 | 32 |
| 11.ჰიბერნიანი | 35 | 6 | 9 | 20 | 34:64 | 27 |
| 12.დანფერმლაინი | 35 | 5 | 9 | 21 | 39:76 | 24 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ლოზანა ........ 3:1
თუნი-სიონი ........ 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ფენერბახჩე-ბეშიქთაში ........ 2:1
ერჩიესი-ბურსა ........ 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

იაბლონეცი ჰრადეც კრალოვე ........ 2:0
ბოჰემიანსი 1905-პრჟიბრჟამი ........ 2:0
დუკლა-ბოლესლავი ........ 1:2

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

შლიონსკი-ზაგლებიე ........ 2:1
ლეგია-იაგელონია ........ 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-მიდტიულანდი ........ 1:2
კიოგე-ჰორსენსი ........ 2:1
სონდერიისკე-ბრონდბიუ ........ 3:3
კოპენჰაგენი-ოლბორგი ........ 3:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

სუდსვალდი-იორებრო ........ 3:1
დიურგარდენი-კალმარი ........ 1:1
ნორჩიოპინგი-მალმიო ........ 3:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ბრანი-ვალერენგა ........ 1:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ლახტი-ინტერი ........ 0:5

*ინტერის მეოთხე გოლი ირაკლი სირბილაძემ გაიტანა*

მარიეჰამნი-ჰონკა ........ 0:0
მიუპა-ჰიკი ........ 1:0
ტპს-ჰაკა ........ 2:0
იარო-კუუპიო ........ 1:0

**არგენტინა. კლაუსურა**

სან ლორენცო-სარანდი ........ 2:0
უნიონი-ოლიმპო ........ 2:0
არხენტინოსი-რაფაელა ........ 0:0

## კალათბურთი

**ნბა. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

სან ანტონიო-იუტა ........ 106:91

**სერიის ანგარიში 1:0**

ლეიკერსი-დენვერი ........ 103:88

**სერიის ანგარიში 1:0**

ატლანტა-ბოსტონი ........ 83:74

**სერიის ანგარიში 1:0**

მემფისი-კლიპერსი ........ 98:99

**სერიის ანგარიში 0:1**

## ჩოგბურთი

**ვტა. შტუტგარტი. თიხა. ფინალი**

აზარენკა-შარაპოვა ........ 1:6;4:6

## ჰოკეი

**ნჰლ. პლეი_ოფი 4 მოგებამდე**

ფილადელფია-ნიუ ჯერსი ........ 4:3(ოტ)

**სერიის ანგარიში 1:0**

ფინიქსი-ნეშვილი ........ 5:3

**სერიის ანგარიში 2:0**

**ევროტური**

ფინეთი-შვედეთი ........ 4:1
ჩეხეთი-რუსეთი ........ 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# აკაკი ხორავა მთაწმინდაზე გაიხსენეს

ეკა ირემაშვილი

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრებმა ტრადიცია არც წელს დაარღვიეს და ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეული მსახიობის აკაკი ხორავას დაბადების დღე მის საფლავთან მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში აღნიშნეს. მიუხედავად იმისა, რომ წელს აკაკი ხორავას დაბადებიდან 117 წელი შესრულდა, ჩოხოსნებისთვის 29 აპრილი დაუვიწყარი თარიღია და მათთვის მნიშვნელობა არ აქვს მსახიობის მრგვალი თარიღია თუ საიუბილეო, ისინი ყოველთვის მთაწმინდაზე ადიან და აკაკი ხორავას საფლავს ყვავილებით ამკობენ.

მთაწმინდაზე აკაკი ხორავას საფლავთან ამჯერად შეიკრიბნენ ჩოხოსნები, თეატრის მოღვაწეთა კავშირის ხელმძღვანელი გოგი ქავთარაძე, მსახიობი დიმა ჯაიანი, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი რეზო ბალანჩივაძე და აკაკი ხორავას შემოქმედების თაყვანისმცემლები. სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის სენაკის აკაკი ხორავას სახელობის თეატრიდან ჩამოვიდა წარმომადგენელი ირაკლი ადამია, რომელიც უკვე წლებია ჩოხოსნების მიერ მოწყობილ ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას. სამოქალაქო პანაშვიდი მამა იოანემ გადაიხადა, მგალობლებმა კი საგალობლები შეასრულეს. მიწვეულმა სტუმრებმა აკაკი ხორავა კიდევ ერთხელ გაიხსენეს და მისი საფლავი ყვავილებით შეამკეს. მარვალჟამიერი და ქართული სიმღერები ჩოხოსან რაინდთა დასის ბიჭუნათა გუნდმა შემოსძახა, რომელსაც გოგიტა ბუგიანიშვილი ხელმძღვანელობს.

**გოგი დოლიძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის თავმჯდომარე:**

– უკვე 17-ე წელია ყოველ 29 აპრილს მთაწმინდის პანთეონში ავდივართ, დიდი ქართველი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი ხორავას დაბადების დღეს აღვნიშნავთ და გაზაფხულის ყვავილებით ვამკობთ მის საფლავს. ტრადიციულად ამ ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობს სენაკის აკაკი ხორავას სახელობის თეატრი, რომელიც სულ გვიგზავნის თავის წარმომადგენლებს. წელსაც გვეწვია ირაკლი ადამია, რომელიც ამ ღონისძიების ხშირი სტუმარია. შარშან ეს ღონისძიება „ბიბისიმაც" კი გადაიღო და მთელ მსოფლიოს მოედო მისი ორწუთიანი სიუჟეტი. წელსაც შევიკრიბეთ ჩვენი დასის წევრები და ხორავას თაყვანისმცემლები ტრადიციულად და ჩვენს პატივისცემას გამოვთქვამთ ქართული თეატრისა და კინოს ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებისადმი. ეს ჩვენი მადლიერი შთამომავლობის ფრიად სასიამოვნო მოვალეობაა. ეს დღე ჩვენთვის ნამდვილად გამორჩეულია. ეს არ არის დიდი თარიღი, არც 100 წლის იუბილე ყოფილა და არც 120. ეს იყო აკაკი ხორავას დაბადების 117-ე წლისთავი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენ ეს არ გვავიწყდება. ეს ჩვეულებრივი ამბავია, რასაც აკეთებს ქართული ინტელიგენცია, რომ ამოდის მთაწმინდაზე და თავის პატივისცემას გამოხატავს ამ ბუმბერაზი ადამიანის წინაშე. როცა ჩვეულებრივი დღეა და მაშინ არ დაგავიწყდება, ეგ არის ვაჟკაცობა, თორემ როცა იუბილეა, ისედაც ყველას ახსოვს. მიმაჩნია, რომ ეს უნდა იყოს ჩვენი ყოველდღიური სასიამოვნო მოვალეობა.

**გოგი ქავთარაძე, თეატრის მოღვაწეთა კავშირის ხელმძღვანელი:**

– ეს არ არის არანაირი ღონისძიება, ეს არის ჩვენი მოვალეობა და ვალდებულება, რომ არ დავივიწყოთ ისეთი დიდებული პიროვნება და მსახიობი, როგორიც იყო აკაკი ხორავა. მის დამსახურებაზე და ღვაწლზე ლაპარაკი არ არის, ის იყო ისეთი მოვლენა, რომელსაც შეიძლება უწოდო მსოფლიო მნიშვნელობის ტრაგიკული მსახიობი. დიდი მადლობა ბატონ გოგი დოლიძეს, რომ ამას ტრადიციულად აკეთებს და ჩვენს მომავალ თაობებს გადასცემს და შემოუნახავს აკაკი ხორავას პიროვნებას და სახელს. მიმაჩნია, რომ მაინცდამაინც იუბილეებზე კი არ უნდა გაგვახსენდეს ასეთი ბუმბერაზი ადამიანები, არამედ სულ უნდა გვახსოვდეს. თეატრალური მოღვაწეთა კავშირის ხელმძღვანელი ვარ და ჩვენთან არის დარბაზი, რომელსაც ჰქვია ხორავას სახლი. მალე ჩვენ რეკონსტრუქციას დავიწყებთ, მანამდე კი 11 მაისს გვაქვს „თეთრი ბაირაღების" პრემიერა. გვინდა დარბაზი გამოვაცოცხლოთ და მაყურებელი ჩვენთან – აკაკი ხორავას სახლში სიარულს მიეჩვიოს.

**დიმა ჯაიანი, მსახიობი:**

– ბოლო წლებში მეც დავდივარ ჩოხოსნებთან ერთად მთაწმინდის პანთეონში აკაკი ხორავას საფლავზე, იმიტომ, რომ ის რუსთაველივით არის ქართულ თეატრალურ სამყაროში. მახსოვს, 29 აპრილი რომ მისი დაბადების დღეა, 117 წელი შეუსრულდა წელს. მის საფლავთანაც ვთქვი და თქვენთანაც გავიმეორებ – მე ბოდიშს ვუხდი აკაკი ხორავას, მისი ფეხის მტვერი ვარ, სად ხორავა და სად მე, მაგრამ ჩემი წილი ბოდიში მოვუხადე, რომ ვერ დავიცავით ის ჩვენ დღეს, მისი სული ვერ დავიცავით. მისი სული რუსთაველის თეატრში ტრიალებს, რუსთაველის თეატრის სცენაზე კი საქმელს აკეთებენ, ნახერხს ყრიან, სტრიპტიზს ცეკვავენ. საშინელებები ხდება. მისი სული შეწუხებულია, ამისთვის დიდი ბოდიში მოვუხადე. მან ისეთი მადლი დატოვა, რომ მსოფლიო შეაზანზარა. ოტელოს ამ დონის შემსრულებელი მსოფლიოში ჯერ არ დაბადებულა. აკაკი ხორავა მთელ საქართველოს უნდა ახსოვდეს. სოხუმში ერთი მგელაძე იყო, ვერც ერთ წარმოდგენაზე ბილეთს ვერ იშოვიდა მაყურებელი. მართალია ძალიან ძლიერი დასი იყო, მაგრამ ის კაცი ყოველდღე დადიოდა თეატრში და რახან ის დადიოდა, ამიტომ ბილეთი არ იშოვებოდა. ადამიანები ოთხი თვის შემდეგ ნახულობდნენ სპექტაკლს. ამათ თეატრი არ აინტერესებთ. ესენი რომ დადიოდნენ დღეს თეატრში, სხვებიც ხომ ივლიდნენ? ამბობენ, მიმბაძველობა ცუდიაო, მაგრამ გააჩნია, რა დარგში. კარგ რამეში მივბაძოთ ერთმანეთს, რა, ცუდია? მთაწმინდაზე ახალგაზრდებიც იყვნენ, მღეროდნენ, მათ რომ ვუსმენდი, გული სიხარულით ამევსო. მათ იციან, ხორავა ვინ არის, სამწუხაროდ, დღეს ცოტანი არიან ასეთი ბავშვები საქართველოში, მაგრამ ხომ არიან? ამიტომ საოცრად ანთებული ვიყავი. მთაწმინდა საოცარი სავანეა – უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე, ვახტანგ ჭაბუკიანი, ყველა დიდებული ადამიანი აქ განისვენებს.




**რეზო ჩხეიძე:**

– აკაკი ხორავა იყო იმ ეპოქის განმასახიერებელი ქართულ თეატრში, რომელიც სანდრო ახმეტელის, ამ დიდი ქართველი რეჟისორის სახელთან არის დაკავშირებული. ეს იყო თითქოს ეპოსი. აკაკი ხორავას როლების ჩამონათვალი რომ ვნახოთ, უკვე ჩანს, რომ ჰეროიკული გმირების მოტრფიალე და განმასახიერებლი იყო. მისი დიდებული, გენიალური სახე გახლდათ შექსპირის „ოტელო". ამის ყურება პირდაპირ დღესასწაული იყო. როცა იწყებოდა ეჭვიანობის ჩათესვა იაგოს მიერ, ისეთი შემაძრწუნებელი იყო ამის ყურება, როგორ თანდათანობით სუფთად გულით შეყვარებული ოტელო ეჭვის მსხვერპლი ხდებოდა. ჩაოცარი სანახავი იყო როგორ იზრდებოდა მასში მომავალი სისხლიანი ტრაგედია, როგორ უნდოდა მოეშორებინა, თავიდან აეცილებინა ეს ტრაგედია. ასეთი მიზანსცენაც კი ჰქონდა აკაკი ხორავას, თითქოს ხელიდან სისხლის წვეთებს იშორებდა, თუმცა ამ ტრაგედიის განვითარება ყველამ ვიცით – ოტელომ თავისი საყვარელი დეზდემონა ლოგინში დაახრჩო. ამის ყურება ძნელიც იყო და ამავე დროს ზეიმიც, ისეთი იყო ხორავა ამ როლში. მაღალპროფესიონალური, შესახედაობით ვაჟკაცი, დიდი თვალებით, მოქნილი, ძეგლივით იდგა სცენაზე, თავისი საუკეთესო ხმით, დიდი ბარიტონით, ეს იყო ქართული თეატრის ზეიმის განსახიერება. მახსოვს პრესა ინლისიდან, როცა ხორავამ ეს როლი ინგლისში ითამაშა. კარგად მახსოვს მოროზოვის პოზიცია, რომელიც გაოგნებული იყო აკაკი ხორავას თამაშით. მან დაწერა მოხსენება შექსპირის გმირების განსახიერებაზე და მაშინ თქვა, რომ ხორავა მსოფლიოში ნომერ პირველი ოტელოაო. ზავადსკის თეატრში მიყურებია ოტელო, მაგრამ ის ხორავას ფეხის ფრჩხილადაც არ ღირდა. მარჯანიშვილის თეატრში თავად მარჯანიშვილმა დადგა ოტელო, სადაც შალვა ღამბაშიძე თამაშობდა ოტელოს, უშანგი ჩხეიძე – იაგოს. ამბობენ, რომ შალვა ღამბაშიძე საკმაოდ საინტერესოდ თამაშობდა ამ გმირს, სანამ იყო მშვიდი და ეჭვის ჭია შეჭამდა, თუმცა როგორც მე ვიცი, ის მაინც იმ ტრაგიკულ სიმაღლემდე არ ასულა, ის უფრო რეალისტური ბუნებით მუშაობდა, რა თქმა უნდა, ისეთი წერტილები, რასაც ხორავა ტრაგიზმში აღწევდა, არ გამოსდიოდა. იყო ასეთი დიდი მსახიობი ქართულ თეატრში ალექსანდრე იმედაშვილი, ამბობენ, რომ ის ხორავაზე დიდი იყოო. იგი ნანახი მყავს ქუთაისის თეატრში დადგმულ „მეფე ლირში", მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საოცარი ხმა ჰქონდა, მაგრამ მაინც მეეჭვება, რომ ვინმეს შეეძლო ხორავას მსგავსად ამ როლში ასეთ სიმაღლეზე ასვლა.

***– თქვენ რამდენჯერ ნახეთ აკაკი ხორავა ოტელოს როლში?***

– 22-ჯერ მაქვს ეს სპექტაკლი ნანახი. მაშინ ძალიან გატაცებული ვიყავი, სკოლაში ვსწავლობდი, თეატრალური ინსტიტუტის ორი კურსი დავამთავრე თბილისში და მერე მოსკოვში წავედი. ხორავას სახე ისეთი იყო, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დარგში რომ მემუშავა, კინო იქნებოდა თუ თეატრი, ამის გადაწყვეტილებაში დიდი როლი ითამაშა აკაკი ხორავამ, მისმა საოცარმა ოსტატურობამ. ის ასევე მახსოვს, როგორც თეატრალური ინსტიტუტის დირექტორი, იყო ძალიან მკაცრი, მაგრამ ამავე დროს ძალიან ტკბილი და ადამიანური. ვიცი, რომ ბევრი სტუდენტისთვის პალტოც კი უყიდია. მაშინ ფაშისტური ომის პერიოდი იყო და ხალხს საშინლად უჭირდა.

***– მასთან როგორც რეჟისორს გიმუშავიათ?***

– ხორავასთან ჩემს ფილმებში არ მიმუშავია. მხოლოდ ერთხელ გავახმოვანებინე ჩემი ფილმი „ზღვის ბილიკი", ამ ფილმში მთავარ როლს სერგო ზაქარიაძე თამაშობდა. სამაგიეროდ, კარგად მახსოვს მისი ფილმები, მაგრამ მგონია, რომ აკაკი ხორავა თეატრის შვილი უფრო იყო, ვიდრე კინოსი, თუმცა ის ყველგან შეუდარებელია.-

## ვაშინგტონი მზად არის თეირანს კომპრომისული წინადადება შესთავაზოს




ამერიკის ხელისუფლება მზად არის ირანს კომპრომისული წინადადება შესთავაზოს. ინფორმაცია ამის შესახებ დასავლურ მედიაში აშშ-ს პრეზიდენტ ბარაქ ობამას ადმინისტრაციაზე დაყრდნობით ქვეყნდება.

ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ ირანს უფლებას მისცემენ ურანი 5 %-მდე გაამდიდროს, თუ ქვეყნის ხელისუფლება საკუთარ ბირთვულ ობიექტებზე საერთაშორისო დამკვირვებლებს დაუშვებს, რომ მათ კონტროლი განახორციელონ.

„ლოს ანჯელეს თაიმსი" წერს, რომ აშშ ამ წინადადებას განიხილავს, რადგან თეთრ სახლში შიშობენ, რომ ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული მორიგი მოლაპარაკება შესაძლოა ჩაიშალოს.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ დროისთვის ირანს ურანის გამდიდრება 20 %-მდე შეუძლია. ატომური ბომბის შესაქმნელად კი 90 %-მდე გამდიდრებული ურანია საჭირო.

ამერიკულ დიპლომატთა აზრით, თეირანი არასოდეს დათანხმდება ურანის გამდიდრების პროგრამაზე სრულად უარის თქმაზე და ამ საკითზე შეუთანხმებლობამ შესაძლოა, სამხედრო კონფლიქტი გამოიწვიოს.

ამასთან, „ლოს-ანჟელეს თაიმსი" წერს, რომ აშშ-ს პრეზიდენტის ადმინიტრაციის წინადადებას სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდება როგორც ამერიკულ კონგრესში, ისე ისრაელის ხელმძღვანელობის მხრიდან.

როგორც აღვნიშნეთ, დღეისთვის ირანელ მეცნიერებს შეუძლიათ ურანის 20%-მდე გამდიდრება. ატომური ბომბის შექმნისთვის კი საჭიროა 90%-მდე გამდიდრებული ურანი.

თეირანის მტკიცებით, ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან ხასიათს ატარებს და მიზანი ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგებაა. მიუხედავად ამისა, ირანის მიმართ არსებობს ეჭვი, რომ თეირანს ბირთვული იარაღის შექმნა სურს.

## ესპანეთი შენგენის ხელშეკრულებას გამოეთიშა




ესპანეთი შენგენის ხელშეკრულებას გამოეთიშა. დღეიდან 4 მაისის ჩათვლით, ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა მხოლოდ საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ოფიციალური განცხადება ამის შესახებ ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გააკეთა.

ქვეყნის ძალოვანი უწყების ხელმძღვანელის განმარტებით, ამ ზომის გატარება 3 მაისს ბარსელონაში დაგეგმილ ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობის სხდომას უკავშირდება და ეს ნაბიჯი უსაფრთხოების ზომების გამკაცრების მიზნით გადაიდგა.

ოფიციალური მადრიდი ამით შეეცდება ესპანთში ანტიგლობალისტების მასობრივი შესვლა აიცილოს თავიდან, რომლებიც საპროტესტო აქციებისა და სხვადასხვა დაპირისპირების მოწყობას გეგმავენ.

შენგენის ხელშეკრულება – შეთანხმებაა „საპასპორტო საბაჟო კონტროლის გაუქმების შესახებ ევროპის კავშირის ქვეყნებს შორის", რომელსაც თავდაპირველად ხელი მოეწერა 1985 წლის 14 ივნისს ევროპის სახელმწიფოების მიერ (ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია და ესპანეთი). შეთანხმება ძალაში შევიდა 1995 წლის 26 მარტს.

შეთანხმებას ხელი მოეწერა შენგენში, ლუქსემბურგის მცირე სოფელში, ადგილი, სადაც ლუქსემბურგის, გერმანიისა და საფრანგეთის საზღვრები იკვეთება.

მას შემდეგ შეთანხმებას შეუერთდა კიდევ რამდენიმე ქვეყანა.

2007 წლის ბოლოსთვის ხელმომწერთა რიცხვი 30-მდე გაიზარდა, და ფაქტიურად მოქმედებს 25 ქვეყანაში: ავსტრია, ბელგია, უნგრეთი, საბერძნეთი, დანია, გერმანია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, ნორვეგია, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ფინეთი, საფრანგეთი, ჩეხეთი, შვედეთი, შვეიცარია და ესტონეთი.

ყველა ეს ქვეყანა ერთად შენგენის ზონას ქმნის.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა



## ჩჰჯცღჯჰღბ ,

**შვეულად:** 1. თეთრი ფერის, ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 2. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 5. დაბალხარისხოვანი თამბაქო; 6. გრძელ დისტანციებზე მორბენალი მძლეოსანი; 9. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 10. სასადილოების რიგი ძველ თბილისში; 11. სამეფო რეზიდენცია ლონდონში; 14. ქედებისა და მთათა სახელწოდება შორეულ აღმოსავლეთსა და კამჩატკაზე; 16. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 18. პატარა თეზსაჭერი გემი; 20. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 23. უკრაინის პარლამენტი; 24. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 25. ვრცელი ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 26. მაღალყელიანი კალოში.

**თარაზულად:** 7. ადამიანის ყოფიერების ზოგადი კანონზომიერების შემსწავლელი ფილოსოფიის ნაწილი; 8. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 12. რიტმული სვლა მწყობრი ნაბიჯით; 13. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 15. მწვერვალი კავკასიონზე; 17. უჩვეულო, მოულოდნელი აზრი, მსჯელობა, ქმედება; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 21. ტროპიკული ხვიარა მცენარე; 23. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 27. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 28. მათეთრებელი თიხა ნავთობპროდუქტების გასაწმენდად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღცႱ.ყც,ეჯბ ჩჰჯცღჯჰღBჩფ ღფ ციფყღჯჰღბც გფცე[ც,ბ5

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. კალაპოტი; 7. პასტელი; 8. კალათა; 10. კრამიტი; 12. ირემი; 13. კარტი; 14. კომანდორი; 18. მაგმა; 20. სენატი; 23. ტაროსი; 24. რატი; 25. მერიმე; 26. ნუგა; 27. სტელაჟი.

**შვეულად:** 1. პარადი; 2. ცირკი; 3. ბრინჯი; 4. სტატია; 6. აპრიორი; 9. კრემი; 11. ორაგული; 15. ნეკროლოგი; 16. ლემური; 17. კარამელი; 19. ალაყაფი; 21. მარკეტი; 22. ვარანი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. მანერა; 2. ერეკლე; 3. აგა; 4. ტალანტი; 5. იო; 6. ჰიუსტონი; 7. მერილ; 8. რემა; 9. ჰიმნი; 10. კოლი; 11. ინდოლი; 12. იდეალი; 13. ჰიოგო; 14. იფი; 15. იდეა; 16. მედალი; 17. ბოი; 18. რადიაცია; 19. კომეტა; 20. აგნი; 21. დონინა; 22. კრივი; 23. ოაჰუ; 24. კოხი; 25. კანტი; 26. ონო; 27. კლარნეტი; 28. ალია; 29. ლაგტინგი; 30. ტერაკოტა; 31. ნიელო; 32. ტახი.

**სურათებზე:** ჯენიფერ ენისტონი; ტომი ბრედი.

# ნიკოლა სარკოზი სასამართლოში ჩივის

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ელექტრონულ მედიას – „მედიაფართს" სასამართლოში უჩივლებს. აღნიშნულის მიზეზი გამოცემის მიერ გამოქვეყნებული სტატია გახდა, რომლის მიხედვითაც სარკოზის 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს ლიბიის ექს-ლიდერი მუამარ კადაფი აფინანსებდა.

– წინასაარჩევნო კამპანია ყველაფერს ვერ ამართლებს. მედიაფართი – ეს დიდი ტყუილია. არსებობს მორალი და ის, ვინც იტყუება უნდა დაისაჯოს მართლმსაჯულების მიერ, – განაცხადა სარკოზიმ.



უნდა აღინიშნოს, რომ მუამარ კადდაფის შვილს სეიფ ალ-ისლლამს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სწორედ კადაფის ოჯახმა 2007 წელს 50 მილიონი ევროთი დააფინანსა სარკოზის საარჩევნო კამპანია. აღნიშნულზე სარკოზის შტაბის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ალ-ისლამის სიტყვების დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს.

მეორე ტურის წინ, სარკოზის ასევე მოუწია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი პრეზიდენტის დომენიკ სტროს კანის განცხადების უარყოფამ იმის თაობაზე, რომ მის წინაალმდეგ პოლიტიკური ანგარიშსწორება სწორედ „სახალხო მოძრაობის კავშირს" უკავშირდება, რომლის ლიდერი ნიკოლა სარკოზია.

თავის მხრივ, ელექტრონული მედია „მედიაფართის" ხელმძღვანელობას საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანა არ აშინებს და იგი მზადაა თავისი პუბლიკაციის გამო საქმის გარკვევა სასამართლოში გააგრძელოს.

– დოკუმენტების შინაარსის გასაჩივრება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ბოლო თვეების განმავლობაში მრავალი დოკუმენტებით გამყარებულ ეჭვებს, რომლებიც ნიკოლა სარკოზის გარემოცვისა და დიქტატორ მუამარ კადაფის ფინანსურ კავშირებს ეხება, – აცხადებს ინტერნეტპორტალის დირექტორის ედვი პლენელი.

მისივე თქმით, „მედიაფართი" „მშვიდად ელოდება პროცესის დაწყებას და მზადაა ყველა მის ხელთ არსებული დოკუმენტი წარმოადგინოს".

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 6 მაისს გაიმართება. არჩევნებში ერთმანეთს ნიკოლა სარკოზი და სოციალისტი ფრანსუა ოლანდი დაუპირისპირდებიან. ნიკოლა სარკოზიმ (დ. 28 იანვარი, 1955, პარიზი) თანამდებობა დაიკავა 2007 წლის 16 მაისს მას შემდეგ რაც არჩევნებში დაამარცხა სოციალისტური პარტიის კანდიდატი სეგოლენ რუაიალი.

# ევროკავშირი იულია ტიმოშენკოს გამო ევრო 2012-ზე ბოიკოტს განიხილავს

ევროკავშირში შემავალი ქვეყნის პოლიტიკოსებმა შეიძლება უარი თქვან უკრაინაში ვიზიტზე ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დროს, მიზეზი უკრაინის ექსპრემიერის იულია ტიმოშენკოს მიმართ ციხეში განხორციელებული ზეწოლა და ფიზიკური ძალადობაა.

გასულ კვირას გავრცელდა იულია ტიმოშენკოს ფოტოები, რომელზეც მას აშკარად ეტყობა ძალადობის კვალი.

ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ პრესმდივნის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ზაფხულში უკრაინაში არ ჩავა.

უკრაინაში ვიზიტისგან თავი შეიკავა გერმანიის პრეზიდენტმა, ხოლო გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ამბობს, რომ გერმანია ბოიკოტის საკითხს ჯერ კიდევ განიხილავს.

უკრაინაში ვიზიტი გააუქმა ჩეხეთის პრეზიდენტმა ვაცლავ კლაუსმა. ხოლო შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრმა უკრაინას ტიმოშენკოს საქმესთან დაკავშირებული ახსნა განმარტება მოსთხოვა.

კერძოდ, ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი გერმანიის პრეზიდენტის იოჰან გაუკის მსგავსად უარს აცხადებს მონაწილეობა მიიღოს ცენტრალური ევროპის სახელმწიფო მეთაურების სამიტში, არომელიც იალტაში 11-12 მაისს უნდა გაიმართოს. კლაუსის ეს გადაწყვეტილება იულია ტიმოშენკოს ირგვლივ არსებულ სიტუაციასთანაა დაკავშირებული, რომელიც გავრცელებული ინფორმაციით, კოლონიის თანამშრომლებმა სცემეს.

ინფორმაციას ამის შესახებ, ჩეხეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელზე რადიმ ოხვატზე დაყრდნობით „როიტერი" ავრცელებს.

– არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისა, რომ კლაუსი სამიტზე არ იქნება, მაგრამ ეს მიზეზი ერთ-ერთი უმთავრესია, – განაცდადა ოხვატვა.

აქამდე მცირე ხნით ადრე გაზეთმა „ზუდდოიჩე ცაიტუნგმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გერმანიის პრეზიდენტმა გაუკმა პროტესტის ნიშნად უკრაინაში გამგზავრებაზე უარი განაცხადა. მათივე ინფორმაციით, პრეზიდენტმა თავისი უარი გერმანიის კანცლერთან ანგელა მერკელთან შეათანხმა.

აღსანიშნავია, რომ კვირას ჟურნალი „შპიგელი" წერდა, რომ გერმანიის კანცლერმა იულია ტიმოშენკოსთან დაკავშირებული სიტუაციის გამო შესაძლოა გერმანიის მთავრობის წევრებს უკრაინაში გამართული ევროპის ჩემპიონატის ბოიკოტირების რეკომენდაცია მისცეს. გამოცემა ასევე წერდა, რომ თავად მერკელი ჩემპიონატზე გამგზავრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებს თუ ტიმოშენკოს გაათავისუფლებენ.

ამ ფონზე, უკრაინის მხარე ტიმოშენკოზე ფიზიკური ძალადობის ფაქტებს უარჰყოფს.

ხარკოვის პროკურატურის მტკიცებით, ექს პრემიერმინისტრის იულია ტიმოშენკოს სხეულზე არსებული სისხლჩაქცევები, საგნებთან შეჯახებითა გამოწვეული და არა მასზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობით. რუსული მედიის ცნობით, პროკურატურის წარმომადგენელი ვადიმ გორანი კატეგორიულად უარყოფს ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხრიდან ყოფილ პრემიერზე ძალადობას.

– იულია ტიმოშენკოს სხეულზე არსებულ დაზიანებების ექსპერტიზა რამდენიმე დღეში დასრულდება. დაკითხულია ყველა პირი, რომელსაც მასთან შეხება ჰქონდა, მედიკოსები, პენიტენციარული სისტემის მუშაკები, სასწრაფო დახმარების ექიმები, რომლებმაც ტიმოშენკო საავადმყოფოში უშუალოდ გადაიყვანეს, ასევე ყველა ის ადამიანი, რომელიც შესაძლოა მოვლენის თვითმხილველი ყოფილიყო, მაგრამ ცემის ფაქტი, რაზეც ის მიუთითებს, არ დასტურდება. მეტიც, სასამართლოს მედიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სისხლჩაქცევები, რაც ყოფილ პრემიერს სხეულზე აღენიშნება, რაიმე საგანთან შეჯახებით უნდა იყოს გამოწვეული, – განაცხადა ვადიმ გორანმა. უკრაინის ექსპრემიერ, იულია ტიმოშენკომ ციხის ბადრაგი მის ცემაში დაადანაშაულა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მან 23 აპრილს განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ციხის ბადრაგმა 20 აპრილს საავადმყოფოში ტრანსპორტირების დროს სცემა.

# აფეთქებებმა სირიაში სულ მცირე 20 ადამიანი იმსხვერპლა




სირიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ იდლიბში ორი აფეთქება მოხდა, რომელმაც სულ მცირე 20 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი" ავრცელებს. ბრიტანეთში განლაგებული ადამიანის უფლებათა დაცვის სირიის დასამკვირვებლო საბჭოს ინფორმაციით, აფეთქებები თვითმკვლელებმა სამთავრობო შენობებთან ახლოს განახორციელეს. მათივე ინფორმაციით, გარდაცვლილთა უმრავლესობა უსაფრთხოების ძალების თანამშრომელია.

აღსანიშნავია, რომ დღეიდან სირიაში გაეროს საერთაშორისო სადამკვირვებლო საბჭოს ჯგუფი იწყებს მუშაობას. გაეროს სამშვიდობო მისიის მასშტაბი იზრდება. უახლოეს დღეებში სირიაში კიდევ 30 დამკვირვებელი ჩავა. ამჟამად გაეროს სულ 300 დამკვირვებელია წარგზავნილი. სირიაში გაეროს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის, მაჯ გენ რობერტ მუდის თქმით, მხოლოდ სირიელებს შეუძლიათ ქვეყანაში ძალადობის დასრულება. გაეროს ხელმძღვანელთა აზრით, ქვეყანას თუნდაც ათასი შეუიარაღებელი დამკვირვებელი მშვიდობისკენ თავისთავად ვერ წაიყვანს. აქამდე სირიაში ასოცდაათი შეუიარაღებელი დამკვირვებელი იყო. მაჯ გენ მუდის თქმით, გაეროს კონტინგენტი უახლოეს დღეებში გაორმაგდება.

– ათი, ოცდაათი, სამასი, ათასი შეუიარაღებელი დამკვირვებელიც კი ვერ გადაწყვეტს ამ პრობლემებს. კოფი ანანის ექვსპუნქტიანი გეგმის განხორციელებაში წარმატების მისაღწევად, მე მოვუწოდებ ყველას, შეწყვიტონ ძალადობა და დაგვეხმარონ, რომ შეწყდეს ყოველგვარი შეიარაღებული დაპირისპირება – განაცხადა რობერტ მუდმა დამასკოს აეროპორტში ჩასვლისთანავე.

დამასკოში ჩასვლის დღიდან რობერტ მუდი კონფლიქტის ყველა მხარესთან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს და ამბობს, რომ მშვიდობას ერთობლივი ძალისხმევით უნდა მიაღწიონ.

აქტივისტთა ინფორმაციით, კვირას მთელი ქვეყნის მასშტაბით ოცდახუთი ადამიანი მოკლეს. დაახლოებით ხუთასი ადამიანი გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც 12 აპრილს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება მიიღეს. „ბიბისი"-ს ინფორმაციით, მთავრობა და ოპოზიცია ქვეყანაში არსებულ სიტუაციას ერთმანეთს აბრალებენ.

აქტივისტების თქმით, ქვეყნის რამდენიმე რეგიონი ერთდროულად იბომბებოდა, მაშინ, როცა მთავრობა შეიარაღებულ ტერორისტულ დაჯგუფებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით რიგ თავდასხმებში ადანაშაულებდა.

– ყველაზე მნიშვნელოვანი სირიელი ხალხი, მათი უფლებები და მისწრაფებებია. ამიტომაც ჩვენ ადგილზე გაეროს შეუიარაღებელი დამკვირვებლები გვყავს, რომლებიც საერთაშორისო თანამეგობრობის ნებას წარმოადგენენ. პოზიტიურ გზაზე წარმატების მისაღწევად ერთობლივი მუშაობა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება – განაცხადა გაეროს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა, მაჯ გენ რობერტ მუდმა.

# ნიგერიაში 21 ქრისტიანია დაღუპული



ნიგერიის ქალაქ კანოს უნივერსიტეტში მომხდარი აფეთქებების შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 21-ს მიაღწია. დაღუპულთა შორის ყველა ქრისტიანია.

ასოშეიტედ პრესის ინფორმაციით, შეიარაღებულმა ბოევიკება თავდასხმა მაშინ განახორციელეს, როდესაც უნივერსიტეტის ერთ-ერთი შენობის აუდიტორიაში ქრისტიანული ღვთისმსახურება მიმდინარეობდა.

თავიდან უნივერსიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე აფეთქება მოხდა, ხოლო შემდეგ ბოევიკებმა სროლა ავტომატური იარაღით დაიწყეს.

ყველა თავდამსხმელმა მიმალვა შეძლო.

პასუხიმგებლობა ტერორისტულ აქტზე ამ დრომდე არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია.

ნიგერიაში ტერორისტული აქტები და ძალადობა მას შემდეგ გახშირდა, როცა 2011 წლის მაისში გამართულ არჩევნებზე ქვეყნის პრეზიდენტი ქრისტიანი გუდლაკ ჯონათანი გახდა.

არსებული ინფორმაციების მიხედვით, ტერორისტულ აქტებს მეტწილად ისლამისტური დაჯგუფება „ბოკო ჰარამი" აწყობს. გასული წლის დეკემბერში დაჯგუფების მიერ მოწყობილ ტერაქტს 40 ადამიანი ემსხვერპლა.

ნიგერია 1914 წელს გახდა ბრიტანეთის კოლონია. 1960 წელს გამოცხადდა დამოუკიდებლობა, რასაც მოჰყვა კონფლიქტები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. 1967-70 წლებში ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში გამოცხადდა ბიაფრის რესპუბლიკა.

## ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ

მანანა ასათიანის ბავშვობის მეგობრები თამილა კიკნაძე, ნანა ბოკუჩავა, ციცო მედულაშვილი, დოდო ერისთავი, ინგა მეფარიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტის, ლადო ასათიანის და, ჭეშმარიტი მამულიშვილი, დიდებული ქალბატონი, ყველასათვის საყვარელი

**მედეა ასათიანი**

ასრულდა მისი ოცნება „ისევ მომინდა ჩემი სოფელი ხალხურ ლექსებით და საკრავებით". ლადო.

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ
ვბბქჭ,ფ .ჯდჭკლქჭ7
რდბბს უფჯლფ7
!@-ლფყ !& ცფყსფლჭ8

# ქალებს ჩეჩნეთში ე.წ. ღირსების სახელით სულ უფრო ხშირად ხოცავენ

ჩეჩნეთში ე.წ. ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაულის რაოდენობამ იმატა, მაშინ, როდესაც ნათესავები ქალებსა და გოგონებს უსწორდებიან, თუკი ეჭვს აიღებენ, რომ მათ ამორალური საქციელი ჩაიდინეს. ინფორმაციას ამის შესახებ ამერიკული „ვაშინგტონ თაიმსი" ავრცელებს. სტატიის ავტორი დიანა მარკოსიანი ამას იმით ხსნის, რომ კონტრტერორისტული ოპერაციის დასრულების შემდეგ ჩეჩნეთის რესპუბლიკამ „ისლამის ფუნდამენალური ინტერპრეტაცია მიიღო", მეთაურმა რამზან კადიროვმა კი ერთხელ ასეთი დანაშაული გაამართლა კიდეც. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გროზნოსა და მის ირგვლივ მიმდებარე ტერიტორიებზე, სოფლებში ან გზის განაპირას ათობით ახალგაზრდა ჩეჩენი ქალის გვამია აღმოჩენილი. – ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა საჯაროდ განაცხადა, რომ დახოცილი ქალები ამორალური იყვნენ და ნათესავებმა ისინი სამართლიანად დახოცეს. მან ასევე ქალებს ქმრების საკუთრება უწოდა და მათ ძირითად როლად ბავშვების მუცლით ტარება დაასახელა, – ნათქვამია სტატიაში.

მათი ინფორმაციით, „დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ამგვარ მკვლელობათა რაოდენობა ჩეჩნეთში იზრდება. თუმცა ადგილობრივ მოსახლეობაში ეს თემა უკიდურესად ტაბუდადებული რჩება და ოფიციალური სტატისტიკა ძნელად მოსაპოვებელია, – წერს გაზეთი და კონკრეტული რიცხვები არ მოჰყავს. ადგილობრივი უფლებების დამცველი ქალი, რომელმაც ანონიმურობის დაცვა არჩია, ამბობს, რომ ამგვარი შემთხვევების შესახებ თითქმის ყოველდღიურად იგებს, თუმცა თავად ამ საქმეების გამოძიებით მეტად დაკავებული არ არის, ვინაიდან „ძალიან შეშინებულია". შეგახსენებთ, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლიდერმა, რამზან კადიროვმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ პოლიტიკიდან წასვლა სურს. ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტმა იმით ახსნა, რომ სურს, ოჯახს უფრო მეტი დრო დაუთმოს. განცხადება მან ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა.

– მე ყოველთვის მსურდა, პოლიტიკიდან სუფთად წავსულიყავი. დიდი პასუხისმგებლობაა, იყო რეგიონის ხელმძღვანელი. უკვე მივაღწიე იმ ასაკს, როცა წასვლას ვისურვებდი. მე დიდი ოჯახი მაქვს და მინდა მას მეტი ყურადღება დავუთმო, – განუცხადა ჟურნალისტებს ჩეჩნეთის ლიდერმა.

კადიროვის განცხადებით, ჩეჩნეთში არიან ავტორიტეტული ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მისი პოსტის დაკავება, თუმცა კონკრეტული სახელი და გვარი არ დაუსახელებია. ასევე არ დაუსახელებია კონკრეტული თარიღი, თუ როდის ტოვებს პოსტს. ცნობისთვის, კადიროვმა პოსტი 2007 წლის მარტში დაიკავა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი გახდა. 2012 წელს კადიროვს, სულ რაღაც, 36 წელი უსრულდება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## TV პროგრამა

**სამშაბათი 1 მაისი**

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 საფეხბურთო მიმოხილვა 13.15 მხ. ფ. **"სააპის ოპერა"** 15.00 სერ. **"დეტექტივი"** 17.00 მედ-ინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"არც ასე, არც ისე"** 21.00 სერ. **"დეტექტივი"** 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.45 მხ. ფილმი **"პრეზიდიო"** (12) (შ. კონერი) 01.30 მოამბე 01.50 მხ. ფ. **"სერიული მკვლელი"** (15) (ჯ. ვუდსი) 03.30 მხ. ფილმი **"პაპ ორი ო"**

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 16.45 სერ. **"ხუთი და"** 20.00 მხ. ფილმი **"დედამიწის დასალიერისკენ"** 01.00 მხ. ფილმი **"მწუხრი"**

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. **"უკვდავი ამბავი"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"ღვინის გზა"** 15.40 ღამის შოუ (გან.) 17.40 სერ. **"მეჩამული ცა"** 18.40 სერ. **"შურისძიების სახელით"** 21.00 სერ. **"მემკვიდრეები"** 22.00 ნანუკას შოუ 23.40 თბილისი ლაივი 00.50 სპეც რეპორტაჟი (გან.) 01.40 მხ. ფ. **"ტრანსპორტერი 3"** (12) (ჯ. სტეტჰემი) 03.45 მხ. ფილმი **"უსნაური პერსონა"** (უ. ფერერი)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"დედის გული"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ. **"ტერეზა"** 18.45 სერ. **"მიუვარხარ ლოლა"** 19.50 სერ. **"ველური ყვავილი"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 თქვენი შოუ 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. **"მარია ემილია"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"ტაქსის მძღოლი"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ველური მთვარე"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ჟნებათა მიწა"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 იცხოვრე ფეხბურთით 22.50 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. **"სკოლის მეგობრები"** 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. **"ქალი გაისნოზს"** 12.50, 19.35 სერ. **"მონტალბანო"** 13.50 სახლი ბათუმში 15.15 სერ. **"სკოლის მეგობრები"** 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 დოკ. ფილმი "ისინი" 23.40 მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 გუთნისდედა 11.20 სალვთისმეტყველო საუბრები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"ჩიორა"** 13.30 კონცერტი – ანდრია ბოჩელი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". 15.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.20 მხ. ფილმი **"ქვიშანი დარჩებიან"** 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 დოკ. ფილმი "შიო მღვიმე" 19.30 დროის ჩანაწერები 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 მგზავრების წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "მემენტო მორი" (ტ. გრანელი) 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კარაბადინი 01.25 კონცერტი – მ. დოიჯაშვილი

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 maisi

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,639

ევრო —2,1551

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114

რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

## ამინდის პროგნოზი 1 მაისისთვის




# 8 მაისიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად




„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“ მეოთხე ტომი

# მასონები




გამოსულია:

**პირველი ტომი ტირანები**

**მეორე ტომი 100 გამოჩენილი მხედართმთავარი**




გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



# 4 მაისიდან

## ახალ თაობასთან“ ერთად

### ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

**პირველი ტომი**

# 2 მაისიდან

**ეყბრფკეჰბ გჰჯფმნბ**

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 24-ე ტომი

# ნფნხფჰბ

3!)) ობუყიბ4 იცლბც
ბვ ფლფვბფყსფ ,ბჯუჰფაბც,ბ7
ჰჯვცჲსფნ ლბლბ hღფჲბ
ლფნჯღცც ვცჯაჲბჯ
გჯჲბნბhფიბ7 ვცნყბცჰც,ფცფ
ლფ hეჲნეჰფიბ8

**უფპფსბ ლფ ოგუყბ ფჰსფლ**
*** კფჰბ**




**.ღცჲფვ უფბსღფჲბცობყცს=** fcnhjgjhjuyjpb

წარმატებული დღეა

! ვფბცბცსღბც

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — სახლში კარგი ახალი ამბავი გელით. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** — გააქტიურდით, თორემ სიყვარული გაგიფრინდებათ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — ახალ ბიზნესს წამოიწყებთ, გახარებული ხართ. **სასწორი** — ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაუჯერეთ. **ღრიანკალი** — ფული გაქვთ, არაფერი გაწუხებთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, არ გადაიღალოთ. **თხის რქა** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის ახალი ამბავი ჩამოაქვს. **მერწყული** — უფულობის პრობლემას მალე მოევლება, დამშვიდდებით. **თევზები** — სახლში კარგად ხართ, საქმეებიც მშვენივრად მიდის.

უბცეჰღც,ს ,ცლყბცჰ ლქცს=

## hჰჯცღჯჰლბ ფ

**შვეულად:** 1. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 2. ქიმიური ინდიკატორი; 3. თეორიული მექანიკის ნაწილი; 4. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული ძველად; 5. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. მაღალი მორალური ადამიანური ღირებულება; 9. არჩეული წარმომადგენელი; 12. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 13. ხეხილის ბაღი; 16. სამეფო საგვარეულო; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. უბანი თბილისში.

**თარაზულად:** 6. უქნარა, უსაქმური ადამიანი; 7. შინაური კურდღელი; 8. სანთლიდან ჩამონაჟონი წვეთი; 10. სუდანის დედაქალაქი; 11. ბრაზილიური ყავა; 14. უძველესი გერმანული ტომი; 15. სულიერი დაბაძუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 18. საჭმელი სოკო; 21. ქართული ოდას აივანი; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 23. უცხოური ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 24. ფრანგი მეიგავე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

